

30063000

16035700
3006300000



7.8



1 3 3
* 4 . 5 . 6 . 7 . 8 . 9 . 0 .

პიუნაერი

საქართველოს ბ. კ. მ. ცხენ-
 ბრალური ბიუროს და განა-
 თლების სახალხო კომისა-
 რატის შურნალი ბავშვთა-
 თვის

ხელის მოწერის შირობები:

1 წლით		6 თვით		ცალ. ნომერი	
მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
8	—	5	—	1	—

1933

ნომერი

№ 7-8

წელიწადი მე-8.

კვდავების მისამართი,

აღმსკომის ქ. № 7.

სახელბაში

სახელბაზრობისა

და საბავშვო

ლიტერატურის

სამბოლი.

შინაარსი

1. „გაუმარჯოს ტელმანს“,—ია.	1
2. ფოლადის ფრინველები და ფოლადის ადამიანები,—შ. თ.	3
3. გილაურის თაოსნობა,—ლავრ. ჭიქინაძე.	6
4. მინდერის დამკვერლებს,—შიო მღვიმელი.	8
5. შაბათობა,—კალდ ბობოხიძე.	9
6. ჯუმბერ,—ს. შთვარაძე.	10
7. კარა-მუგაზი,—კ. შაუსტოვსკი, თარგმანი თ. ბ.	13
8. ზღვის ავარაქზე,—გიორგი კაპაზიძე.	17
9. საყვარელო ბავშვებო! საუკეთესო ცხოვრება მთელი თავისი სიმშენიერით მოგესწრებათ თქვენ,—აშხ. მოსტიშვილის სიტყვა.	18
10. ბანაკობა,—კ. ნალბანდიანი.	20
11. გელას თავადისავალი,—შ. სამადაშვილი.	21
12. როგორი საბავშვო წიგნი გამოვიდა,—ანდანი.	21
13. მანქანის სიმღერა,—გიორგი ძიგვაშვილი.	22
14. პოეტ ირაკლი აბაშიძის წერილი გიორგი ძიგვაშვილისადმი.	24
15. პიონერის სიტყვა,—ბ. გოდირაძე.	24
16. პიონერები იცვენ მოსავალს,—გ. ხ.	ყდაზე



„ბაუპარზოს ველმანს“

ჰამბურგში ისე არ ხდება, როგორც ჩვენში. გამოათენენ თუ არა კომუნისტები თავის პლაკატებს, ლოზუნგებსა და თუნდაც უბრალო წითელ დროშას, იმ წუთშივე იქ განიდება პოლიცია, ფაშისტები, და შეიქნება სკანდალი.

შეიყარა ერთხელ ექვსი კომკავშირელი. მათ მიიღეს დავალება უჯრედიდან—დაწერონ კომუნისტური ლოზუნგები და გამოფინონ ყველას დასანახავად.

— კარგი იქნება მაღლა გავაქრათ, — თქვა კურტი შლეგელმა, — რომ ძნელად მისაწვდომი იყოს პოლიციისათვის.

დაფიქრდნენ.



— იცით რა, მოდი, გავაკეთოთ წარწერა „წმინდი მიხეილის“ გუმბათზე, — შემოიტანა წინადადება რუდი

შტეინმა, ყველაზე პატარა და სმარტალა ბიჭმა („წმინდა მიხეილი“ ჰამბურგის ყველაზე მაღალი საყდარია). შტეინის წინადადება მოიწონეს და შეთანხმდნენ ყველანი.

სამი დღე გავიდა სამზადისში. საჭირო იყო დარაჯთა მოსვლისა და წასვლის დროის ზუსტი შესწავლა, გავება საყდრის ყველა შესასვლელ-გასასვლელისა.

მესამე დღეს დანიშნულ დროსა და ადგილას გაჩნდა ექვსივე. დავალება წინასწარ იყო განაწილებული, მოიტანეს საღებავები, ბაწრები. შეარჩიეს გასაღები საყდრის კარზე მოსარგებლად.

უზმოდ გაიღო საყდრის შიშვე კარი, და ექვსი გამბედავ ყმაწვილს შემოეგება საყდრის ნოტიო და შეხუთული ჰაერი. საქმე არც ისე იოლია, — საჭიროა სამრეკვლოზე აცოცება, სამრეკვლო კი 120 მეტრის სიმაღლეზეა. სანთლის ანთება შეუძლებელია: რომ შეამჩნიონ, საქმე დაიღუპება, ციხე და პატიმრობა მოეღოს მათ.

ძლივძლივობით მონახეს ძველი დაკლავნილი კიბის საფეხური, და საშინელ სიბნელეში მიიწვივნენ კომკავშირელები მაღლა და მაღლა სამრეკვლოზე. სამრეკვლოს გუმბათზე ფანჯრებია. რუდი შტეინი ყველაზე პატარაა, მისი ხელში დაქერა იოლია, მსუბუქია. შემოიხვია ბაწარი, აიღო ვედრო საღებავითა და ფუნჯით და კატასავით ჩაცოცდა ძირს.

სანამ ამხანაგებს ეკირათ ბაწარი, დაკიდებული რუდი დიდ სიმაღლეზე წერდა დიდ ასოებით: „ბაუპარზოს ტელმანს“.

დილით ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ყველგან, წერდნენ ყველა ვახეთში. მუშათა ჯგუფები მოდიოდნენ „წმინდა მიხეილთან“ გუმბათზე წითელი ლოზუნგის სანახავად.

— ყოჩაღ, კომუნისტებო! — ლაპარაკობდნენ ჯგუფებში.



პოლიცია აღშფოთდა. ორი დღე ბრწყინავდა
ლოზუნგი გუმბათზე: ვერ შეძლეს წაშლა, და მე-
ხანძრეებმაც უარი განაცხადეს ამ შიმში და საშიშარი
სამსახურის შესრულებაზე.

გაფითრებული, არეული ბრბო იყო. შეიქნა პანიკა.
დემონსტრაცია სამარცხენოდ ჩაიშალა.

როგორ ბარამა ბარნა ფაშისტები

ფურცლები ყაზარამში

ბამბეკი ჰამბურგის მუშათა ერთი რაიონთაგანია.
მუშების დასაფრთხობად ფაშისტებმა იქ თავისი დე-
მონსტრაცია მოაწყვეს. შთაფარ ქუჩაზე პოლიციელთა
რაზმებით დაკლული მიდიოდენ ფაშისტები დროშე-
ებით, ჩირალდნებით, სიმღერით, ხმაურითა და მუშე-
ბისადმი მუჭარით.

რევოლუციური დღესასწაულების დღეებში გერ-
მანიის მუშები თავისებურად რთავენ ქალაქს. ყველა,

მუშები ბრახით უტკეპროდენ დაუბატეებელ სტუ-
მრებს ქუჩის ნაპირზე შეჯგუფდულნი.



კუთხეში იდგენ კომკავშირელნი. ისინი შეიკრი-
ბნენ ფაშისტების გასარეკად, მაგრამ პოლიციელები
მკიდრო რიგებით იცავენ დემონსტრაციას, და ძნე-
ლი გახდა მისი გარღვევა.

ვინც კომუნისტებს ემბრობა, ფანჯრებზე კიდებს წი-
თელ დროშებს. ყველა ქალაქში არის ისეთი უბნები,

და აი როცა ფაშისტების კოლონა მოადგა ვზა-
ჯვარედინს, ჯგუფს გამოეყო ახალგაზრდა მუშა. ეს
იყო პეტერს ბერნი, კომკავშირელი.

იგი გაძვრა პოლიციელთა რგოლებში, შეიჭრა
ფაშისტების რიგში და გამოსტაცა მედროშეს ალაში.

სანამ პოლიცია და ფაშისტები გონს მოვიდოდენ,
ის გადახტა ქუჩის მეორე მხარეს და მასაში შეერია.
ბერნის თავდასხმამ არეულობა შეიტანა ფაში-
სტების რიგებში და როცა წინა რიგები შეჩერდენ,
უკანანი დაეჯახნენ მათ ანთებული ჩირალდნებით.

ხანძარი! ფაშისტებმა ერთმანეთი დაწვეს. დაწყო-
ბილი რიგების მაგიერ წუთის შემდეგ გაზავდნენ

რომლებიც თავიდან ბოლომდე წითლებში გამო-
ცხვევიან ხოლმე.

ალტონში არის ქუჩა ლომიულენშტრას — ეს
არის მუშათა ქუჩა. პირველ მისის, საერთაშორისო
ახალგაზრდობის დღეს და ოქტომბრის დღესასწაუ-
ლებში იგი მთლიანად წითლადაა მორთული. მაგრამ
ამ ქუჩაზე არიან მტრებიც. ერთერთ კუთხეში ფა-
შისტების მოიერიშეთა რაზმის ყაზარმაა. როცა ერთ-
ხელ ქუჩაში გამოჩნდა პირველი წითელი დროშა,

ფურცლები მზადაა, მაგრამ მათი შეტანა მოიერი-
შებში არც ისე ადვილია. მუშებთან უკვე შექმნილი
დღე მათ ღიჯა შემოართყეს მთელს ჰუნანს. კვლავ
კუთხეში დააყენეს შეიარაღებულ მოიერიშეთა გუ-
შაგები. უჯრედმა მისცა დავალება ფრიც ვებერს,
რადიკ უნდა დაუჯდეს, შეეგვრეს მოიერიშებში.

ფრიცმა გადაწყვიტა არა შეძრომა, არამედ შე-
ტრა. მან იშოვა ველოსიპედი და ფურცლების მთელი
კონით ჩაიქროლა ერთერთი საგუშავოს წინ. სანამ



გამხეცებული მოიერიშეები შევარდენ სახლში, დაარ-
ბიეს მუშის ბინა და დაუწყეს ცემა მთელ მის ოჯახს
დროშის გამოკიდებისათვის. ამ მუშის დასახმარე-
ბლად მოცივდენ მეზობელი მუშები. შეიქნა დიდი
ხელჩართული ბრძოლა, და გარეკეს ფაშისტები.

მაგრამ უბნის კომკავშირის უჯრედი ვერ და-
წყენარდა და გამოსცა სააგიტაციო ფურცელი მოი-
ერიშეთათვის — ხომ არიან მათშიც მოტყუებული
მუშები.


მოიერიშეები გამოეკიდებოდნ დასაქვრად, ფრიცი
უკვე ყაზარმასთან იყო. იგი ჩამოხტა ველოსიპედიდან
და კარიდან შეყარა შიგ ფურცლები.

ფურცლები მზიარულად ჩაიფანტნენ მაგდებს
შორის, მაგრამ ფრიცი უკვე მათ ველარ ხედავდა,
იგი შეტბა ველოსიპედზე, შეუხვია კუთხეში და ჩა-
იქროლა მეორე საგუშავოს წინ, რომელიც ამ შემ-
თხვევას ვერ ხედავდა და არ იცოდა მოშლადარი ამბის
შესახებ არაფერი. დავალება შესრულდა. ია.

ფოლადის ფრინველები და ფოლადის ადამიანები


თერამეტი აგვისტოა, ავიაციის დღე, ფოლადის
ფრინველთა აღლუმი. მოსკოვი ფრიაბულობს, მოს-

ნაირ-ნაირი ხომალდის მსგავსი ღრუბლები და ჩრდილს
ესვრიან აეროდრომს, სადაც მრავალათასული მასა



კოვის ყოველ კუნძულში სიცოცხლე დუღს. ცის
ლურჯი აბრეშუმი მზის ოქროსფერი სხივებითაა მო-
ქარგული. ჰაერის ოკეანეში დინჯად დაცურავენ

შუკრებილი, რომ იხილოს ავიაციის დღესასწაული,
იხილოს ფოლადის ფრინველებზე გადამსლადარი ფო-
ლადის ადამიანები.



და ავგარი კონსტრუქციის თვითმფრინავები. მათ შორის არის გიგანტი „АНТ-14“. ზოგიერთ თვითმფრინავს ჯერ კიდევ დევ საღებავის სუნი ასდის. მათ გვერდით დღანან კონსტრუქტორები და გამარწყინებელი თვალეზით შესეკერიან.

აი, დაიწყა... მოგმადნენ საპკრო ფლოტის აკადემიის კურსანტები, ჩასდნენ — და აფრინდა გამანადგურებელთა ესკადრილია. პერში მათი თვითეული რგოლი გამწყრივდა საბრძოლო წესზე. მთელი მოსკოვი მისჩერებოდა მათ, და ცახვ გამობატული იყო: СССР.

СССР — ეს არის საპკოთა კავშირის სახელი, იგივე, რაც ქართულად სხრძ. როდესაც ესკადრილია დაფრინავდა, აეროდრომზე ერთი ადამიანიც კი არ იყო ისეთი, რომელსაც ცისაკენ არ პქონადეს თვალეზი მიპკრობილი, და მფრინავებს რომ შეძლებოდათ ამ ადამიანების დანახვა, ისინი იზილავდნენ ათასობით მომლიმარ სახეებს, გამარწყინებულ თვალეებს, სიხარულის ცეცხლით მოელვარებს...

ნორჩ მოდელისტა აღლუში. ბავშოთა რაზმეულმა დინჯად ჩაიარა მაყურებელთა წინ, და ყოველ მოდელისტს ხელით მოპქონდა თვისი შემოკმედების ნიმუში. რაზმეულს უძლოდა 9 წლის იბრაგიმოვი, ბაქოელი მოდელისტი. ის ყველაზე დამალი და ყველაზე პატარაა, ხელში კი ათვერშოკიანი თვითმფრინავი აქვს, რომელიც ნაირნაირად ბრწყინავს შუის სხივებზე...

აი ოთხი გამანადგურებელი. მათ მართავენ ცნობილი ავიატორები. ავერ ვადაბრუნეს თვითმფრინავები, რომლებსაც თვალეზი ახლა ზევით აქვთ, და მიფრინავენ თავდაყირა დაკიდებულნი, მაყურებელნი კი გულისფანქვალთ უმზერენ ამ გამბედედ უშიშარ ადამიანებს.

უცნაური კონსტრუქციის ორი აერობლანი, ფრთები მალა აქვთ აწეული. როდესაც გამანადგურებელნი დაიძრენ, ისინიც აფრინდნენ, რომ შეჯიბრებოდნენ მათ მალა ფრენაში. მათი ფრთები უძრავი კი არ იყო, როგორც ჩვეულებრივი აერობლანების ფრთები, არამედ ქარის წისქვილის ფრთებივით ბრუნავდა, რის გამოც აერობლანიზ ზემოთ, რომელიც შუის სხივებში დასრიალებდა, მპრწყინავი წრე იყო ვაკეთებული. ეს საოცარი მანქანები საბჭოთა კონსტრუქტორების მიერაა ვაკეთებული, და ხალხი თვალს ვერ აშორებს ამ მოფარფაშე უსულო ფრინველებს.

ამის შემდეგ მოხდა ის, რის დავიწყებაც შეუძლებელია: სამოცი ქალ-ვაიი ჩასდა აეტომობილებში. მათ ლურჯი კომბინეზონები ეცვათ. აერობლანები „АНТ-14“ და „АНТ-9“ ვაპყენენ მათ. ახალგაზრდები აეროდრომზე ჩასდნენ ამ აერობლანებში, რომლებმაც რამდენიმე წრე ვაკეთეს და 1500 მეტრის სიმაღლეზე ავიდნენ. მაშინ კაბინებიდან, ე. ი. აერობლანის პაწაწა ოთახებიდან, დაიწყეს ვადმოხტომა კომბინეზონიანმა ადამიანებმა... რამდენიმე წამის ვანმავლობაში ისინი თავბრუდამხვევი სისწრაფით მოდიოდნენ ძირს, შემდეგ კი მათ ზევით იზღებოდა პარაშუტი, და ისინი ნელ-ნელა ეშვებოდნენ. ესენი იყენენ ახალგაზრდა მუშები, თავდაცვა-ავიაციის სკოლის პარაშუტისტები, რომლებიც წარმოებაშიც მუშაობდნენ და პარაშუტისტობასაც სწავლობდნენ. ამის შემდეგ აერობლანიდან

როგორც სავალდებულო საინჟინერო მის თაყუცად
ჩამოაგდეს სავალდებულო საინჟინერო მის თაყუცად
ჩამოაგდეს სავალდებულო საინჟინერო მის თაყუცად

„**АНТ-14**“ — ამ უკანასკნელი პარაშუტისტებიც
ჩამოაგდეს სავალდებულო საინჟინერო მის თაყუცად
ჩამოაგდეს სავალდებულო საინჟინერო მის თაყუცად

საოცარი სანახავე იყო ცა, იქ თითქმის
ათასგვარი უზარმაზარი ყვავილი გაიშალა — პარაშუ-
ტები სხვადასხვა ფერისა იყო: ლურჯი, მწვანე, წი-
თელი, და ეს აქრელებული ცა ნელ-ნელა ეშვებოდა
მიწისაკენ. დაეშვენ. ცდილობენ თავი დააღწიონ
პარაშუტებს, რომელიც მიწაზე უკვე გამოუსადე-
გარი არიან, და მათკენ მირბის ხალხი, სურათ და-
ინახონ ამ უშიშარ ახალგაზრდათა სახეები, მათ თვა-
ლებში ამოიკითხონ განვლილი მღვლეობა...

...ცხრა წლის მოდელისტი იბრაჰიმოვი ბალახში
ჩამგდარა და ხარბად შესქერის ცას, სადაც დასრი-
ალებენ დიდი, ღონიერი ადამიანები, რომლებსაც
დაეპყროთ ცა. ეხარბება პატარა ბიჭუნას, თუმცა
დარწმუნებულია, რომ, როდესაც გაიზრდება, ისიც
იფრენს, ისიც ასეთივე უშიშარი იქნება. მაგრამ ჯერ
კი... ჯერ კიდევ ათი წელიწადი უნდა იცადოს. უპ,
რამდენი უნდა იცადოს, რამდენი!!

მოტორი გუგუნებს, მოტორი ებრძვის სივრცეს.
წინ მიქრის ესკადრილია, და ცის უსაზღვრო სივრ-
ცეში აღბეჭდილია ასევე. უსაზღვრო სივრცის მქონე
მუშურ-გლეხური ქვეყნის სახელი:

— C C C P.

აი როგორ აღწერს ავიაციის დღის ერთი მონა-
წილე თავის შთაბეჭდილებებს:

„აერობლანში ვზვივარ. გული სიხარულითაა საყე-
ძირს მწვანედ და ყვითლად გაწოლიან კოლომე-
ურნეობის ყანები, რომლებიც აქა-იქ გაუქრიათ მდი-
ნარეგებს. ფაბრიკა-ქარხნების კორპუსების ჩრდილი
განართხულა სხვადასხვა ადგილას. რკინისგზის ბრწყინ-
ვალე ვერცხლის გველები გადაკაპნილია კოლ-
მეურნეობის ყანა-მინდვრებში, ფაბრიკა-ქარხნებში
და აერობლანს მას, აერობლანს მუშურ-გლეხური უსაზღე-
რო ქვეყნის სხვადასხვა მხარეს. აი სამხრეთი. იქ
შორეულ ყაბარღა-ბალკირიაში, ბოლშევიკურად
აძთავრებს კოლმეურნეობა „ლენინის გზა“ სამეურ-
ნეო წელს. ჩრდილოეთით სასწაული მოახდინეს ყო-
ვლმა ქურდებმა, ბანდიტებმა და საბჭოთა ქვეყნის
მტრებმა, თეთრი ზღვისა და ბალტიის არხის შვერ-
თებით რომ უცვალეს სახე კარგოლის გეოგრაფიას...

აღმოსავლეთით და სამხრეთითაც — ყველგან შენ-
დება ახალი ცხოვრება და ყველგან ესმით ახლა მო-

სიონური მაქსიკეში და იციან, რომ ეს მაქსიკეში
სიონური მაქსიკეში და იციან, რომ ეს მაქსიკეში

აი ავიატორი მატევეი — სმოლენსკის რეგიონის
რეგიონის მუშა, თავდაცვა ავიაციის წრის პირველი
ორგანიზატორი. 1928 წლიდან ფრინავს, პაერში
გაატარა დღემდის 700 საათი და არცერთი ავარია
არ მოსვლია. სულ 25 წლისაა, ყოფილი კომკავში-
რელი და დღეს კომუნისტი.

და ამ მძლავრ საპაერო ესკადრილიაში უმრავ-
ლესობას კომკავშირელები წარმოადგენენ.

აი მეორე პილოტი — კოვალევი, ზეინკალის
ზეილი, სასაკლავოს სალახი, კომკავშირელები, საპაერო
ფლოტში კომკავშირის მიერ გაგზავნილი. ახლა ინს-
ტრუქტორია... 25 წლისაა... იმანაც 700 საათი იფ-
რინა და ერთხელაც არ შემთხვევია ცუდი რამ.

მიტროფანოვი — 23 წლის ახალგაზრდა. ყოფი-
ლი უპაერობო ბავშვი, რომელმაც თვითონ გაიკაფა
გზა, გარეში დაიწყო მუშაობა, 7 თვის შემდეგ მო-
ფერი გახდა, 1929 წელს კი ავიაკოლაში გაგზავნეს.
აერობლანი მიქრის, მოტორი გუგუნებს. პილო-
ტმა ძირს დაუშვა მანქანა, რომელიც ტყვიასავით ეშ-
ვება, მაგრამ მერე სწორდება და კვლავ მღვორულად
მისრიალებს, მის თავს ზევით კი ოთხმწკრივად დარა-
ზმული ესკადრილია კვლავ სერავს ცას წარწერით:

— C C C P.



მოსკოვს, მსოფლიოს მშრომელთა დედაქალაქს,
თავს დასტრიალებენ ფოლადის ფრინველები და ფო-
ლადის ადამიანები, მაგრამ ეს არის არა საპაერო აღ-
ლუმში, არამედ ჩვენი საპაერო ფლოტის მიღწევითა
დემონსტრაცია...

აი აერობლანში... ვეშვებით. ვეშვებთან პარაშუ-
ტისტებიც. ცა აქრელებულია. გაღიმებული მშრო-
მელნი გულლიად ხვდებიან ფოლადის ფსკურჯებს,
ფოლადის რაინდებს...

შ. თ.

1

ლექსო გილაური ჩქარი ნაბიჯით შევიდა სოფლის სკოლის ეზოში და ავრიაძულვებულ ბავშვებში შეერია. თამაშობით გართულმა პიონერებმა სიხარულით მიიღეს თავისი უფროსი და თანაც ძველი მეგობარი. ლექსო პიონერებმა კითხვებით აავსეს, მოიგონეს გასული წელიწადი, როცა ის პიონერთა ბანის ხელმძღვანელად ითვლებოდა.

— ამხანაგო ლექსო, რად მოსულხარ, ისევ აქ დაბრუნებხარ ხომ არ აპირებ? — შეეკითხა ერთი პიონერი, რომელიც შარშან გილაურის ხელმძღვანელობით მუშაობდა პიონერთა კოლექტივში.

— ვნახით... თუმცა ქალაქში კარგი მოწყობილი სკოლები ყოფილა... იქ ყველაფერია...

— როგორ, ჩვენს სკოლას სჯობა? — ეწყინათ ბავშვებს თავისი სკოლის შეურაცხყოფა და მაშინვე ასეთი კითხვა მისცეს.

ისინი უკმაყოფილოდ ჩოჩქოლობდნენ და პასუხს მოელოდნენ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ აქაც მოხერხდება სკოლის იმე ვარად მოწყობა...

— ამხანაგო ლექსო, ყური მიგდე, ახალ ამბავს გეტყვი, — მიმართა მეორე პიონერმა, რომელსაც გილაურის მოსვლა ძალიან გეხებოდა.

— თქვი, იქნებ მართლა კარგი რამ არის, — უპასუხა ლექსომ გაღივებული სახით.

პიონერი იცინოდა. მის ბავშვურ სახეზე სიხარული იყო გამოფენილი, და გაბრწყინებული თვალები მოუსვენრად თამაშობდნენ.

— გამგებ გვიტობრა, ამ სკოლისთან ათწლიდის გახსნას ვაპირებთ. რას იტყვი, ხომ კარგი ამბავია? — ისევ ჩაეკითხა პიონერი თავის ყოფილ ხელმძღვანელს და დინატრესივების ელრადა პასუხს.

— სასიხარულოა, და მეც სწორედ მაგ ამბის გასაგებად მოვედი, გადაწყვეტილი პასუხის მიღება მინდა. სიხარულით ცას დავეწევი, რომ ეგ საქმე მართლა ვაკეთდეს და საშუალო ცოდნას ამ ჩემს სოფელში მივიღებდე, აი ამ სოფელში, სადაც უწინ ჩვენს მამებს წერა-კითხვასაც არ ასწავლიდნენ.

მათ კიდევ ბევრი ილაპარაკეს ერთმანეთთან. ისინი მეტად აღტაცებულნი იყვნენ, რომ მათ სოფელში ახალი სკოლის გახსნის შესახებ ვაგრცხვდა ხმები. მართალია, პირველ ხანებში მხოლოდ ხმა დაიბოდა, მაგრამ მთელი სოფელი დაერწმუნებული იყო, რომ ეს საქმე აუცილებლად ვაკეთდებოდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დროს რაც ითქვა, ყველაფერი ვაკეთდა. გილაურიანთ სოფელიც ასე მიდის

2

წინ სწრაფი ნაბიჯებით. ისინი თვალთმაქცობასა და მოტყუებას, რასაც წინათ იყენებდნენ შეზრდილი, უკვე გადაიწყვიტეს. ახლა ბავშვები სიხარულში იხრბოდნენ, სკოლებს მათ თავის სოფელშივე უხსნიან, და ისწავლიან ბევრს, ბევრს, ძალიან ბევრს...

მოწაფეები სკოლის ეზოში თამაშობდნენ. მასწავლებელნი აივანზე იდგნენ, როცა ლამაზად ჩაქმული პიონერები შიხარული თამაშობთ ერთობოდნენ.

ლექსო გილაური ბავშვებ ღიმილგაბნეული გაეშურა თავის ყოფილ მასწავლებელთაკენ, მასწავლებლებმა სიხარულით მიიღეს ლექსო. ის ენერგიული მოწაფე იყო, მათ შორის პიონერები ერთსულაოდ ნად ჰყავდათ დარაბმული, რომ სკოლის მეტი წარმატებები მიეღო. ამ სკოლის პიონერებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. ისინი გილაურის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, გილაურს კი მასწავლებლებთან ჰქონდა შეუძრო კავშირი. პიონერებმა რამდენიმეჯერ აღწერეს უკოდინარები, მეგრ საითაოდ მიემგზავრნენ მათ. კარგად ჩანდა ლექსოს ენერგიული მუშაობა, და ამიტომ უყვარდათ ის მასწავლებლებს.

— რად გარჯილხარ, გილაურო, რას გვეტყვი ახალს? — მიმართა სკოლის გამგემ და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

გილაური წყნარად იცინოდა.

— მე რა უნდა ვითხრა, ახალ ამბავს თქვენგან ველოდები.

— მაინც რა საკითხი გაინტერესებს? ლექსო დგას გამგის წინ და მის სახეს ღიმილით არ შორდება.

— მასწავლებელი, მართალია, ქალაქში ვსწავლობ, მაგრამ ძვირი მიჯდება იქ ცხოვრება. სწავლა კარგია, სწავლის სურვილი ყველაფერს დამათობობინებს... მოვიტმენ და აუცილებლად ვისწავლი, მაგრამ...

— ეგრე სჯობს, ჩემო ლექსო, ხომ ვაგიგონია: მეთევზე თევზს ვერ დაიჭერს, თუ შარვალი არ დაუსვლავო.

— ამ ანდაზამ ლექსო გილაური გააცინა, გაეცინათ იქვე მდგომ მასწავლებელთაც.

— იქნება ანკესით თევზაობს, მაშინ ხომ აღარ დაუსვლავო? — გაეხუმრა სკოლის გამგეს ერთერთი მასწავლებელი.

— არა, ძმაო, ანკესით დაჭერილი თევზი ვერ ვაგაძიდებს. მე ნამდვილ მეთევზეზე ვლაპარაკობ...

— მასწავლებელი, ეგ ანდაზა მესმის, მაგრამ ჩემთვის საინტერესოა, იხსნება აქ თუ არა ათწლიდით?



— გალაქოთ ვერ გეტყვი, მხოლოდ ვაშლილი ბრძოლის ვაწარმოებთ და ვეგბ დაგვიტკიცონ.

— უჰ, რა კარგი იქნება, მაშინ მე ისევ აქ დავბრუნდები, ხომ შეიძლება?

ლექსო სიხარულით აღტაცებული შეეითხა და დადებითი პასუხის მოლოდინში იყო.

— ჩემო ლექსო, დღეს სხვა რა არის შეუძლებელი, რომ შენი მიღება გავკინდლდეს. თუ სწავლა გინდა, წინ ვინ დაგიდგება, ვხა ყველგან გახსნილია...

3

ლექსო ტფილისის ერთერთი პედაგოგიური ტექნიკუმის მოწვეულ ითვლებოდა. ერთი თვეა, რაც ამ სკოლაში მიიღეს და მეცადინეობას ენერგიულად მოჰკიდა ხელი. სწავლას ვაკეთებდნენ და კითხულობს კიდევ სხვა მრავალ წიგნს.

პედტექნიკუმს მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს, და ხელმძღვანელებიც კარგი ჰყავთ შერჩეული. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ხშირად მართავს საუბარს მოწვევებთან, თუ როგორ უნდა მოიხმარონ წიგნი, რომელიც საზოგადოებრივი ქონებაა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე ლოზუნგად არის გაკეთებული ლამაზი წარწერა:

„ერთი წიგნი ასეულ ახალგაზრდას უნდა ესაუბროს, ამიტომ მას ფრთხილად უნდა მოეპყრათ“.

ასეთი წარწერა იქ, და ამავე სიტყვებს ჩვეულებრივ საუბარშიც ვაიგონებ.

ბიბლიოთეკასთან წრეც არის ჩამოყალიბებული, სადა სოზოერთი წიგნის ვარშემო, რომელსაც რამდენიმე მოწვეულ წიკითხება, აზრთა ვაცვლა-გამოცვლა იმართება ხოლმე. მოწვევები დიდი ხალხისთა და სხაპასუხით მართავენ ბაას ახალი წიგნის შესახებ.

ასეთი ბედი ეწია „არსენა მარაბდელ“-საც.

ერთხელ, არსენა ოძელაშვილი რომ ტფილისში ჩამოვიდა, ტფილისელი ბიჭები მტრედის გუნდით აედევნენ. ასე მტრედის გუნდით აედევნა ახლაც „არსენა მარაბდელ“-ს ათასეული მკითხველი, და ეს წიგნი უტბად გამოილია.

ყველანი ალაპარაკდნ „არსენა მარაბდელ“-ზე, და ლექსოს ტექნიკუმთან რომ ბიბლიოთეკაა, იქაც მოეწყო ამ საკითხის შესახებ ერთი საუბარი.

ლექსო გილაური აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საუბარში და ძალიან მოეწონა ასეთი წესი. საუბრის დასასრულს ბიბლიოთეკის გამგემ განაცხადა:

— კარგი იყო დღევანდელი საუბარი. წრის შემდეგ მეცადინეობაზე ასეთი თემა დამუშავდება: „წიგნს დაცვა უნდა“.

— ალბათ, ეს თემაც კარგი იქნება, — ჩილაპაბრაკა რამდენიმე მოწვეულ და დღერფანში გავიდნ.

„ოთხი ძმა: გივიკო, ზურკო, ზაფლავი და მერაბ შიკო“. „კარგი წიგნია და ვინც წაიკითხოთ, მოგვიგონეთ ჩვენი, ტექნიკუმის პირველი კურსის მოწვევები: ილიკო ალალიძე და ოთარ ყიზილაშვილი“. „ვინც ეს წიგნი მოიპაროს, შეგ მიწაში ვაიპაროს“, — ეწერა აქა-იქ წიგნის ფურცლებზე. „ეს არის ვალიკო ტყემალაძე“ — ეწერა ერთ ფურცელზე ადამიანის ჩონჩხის ქვეშ...

ბიბლიოთეკის გამგეს ხელში ეკავა სქელტანიანი წიგნი და უკითხავდა წრეში გაერთიანებულ მოწვევებს ამნარი წარწერებით შემკობილ ფურცლებს.

— ამხანაგებო, წიგნის ასე უღიერად მოპყრობა სირცხვილია...

— ვისაც წიგნის ამაზე უკეთესი მოგლა არ შეუძლია, ის წიგნის წაიკითხვის ღირსიც არ არის...

— ეს იუნს უტანსკელი და ამის შემდეგ ასეთი ამბავი აღარ უნდა ვანგმორდეს...

ბევრმა გამოთქვა აზრი და ყველანი კიცხავდნ იმათ, ვინც დაბეჭდილ წიგნებს ახლა რამეებს უმატებს.

ყველაფერი კარგად არის ამ სკოლაში, მაგრამ ეს როგორ მოხდა, რომ წიგნები ასე საშინლად გაუფუჭებიათ? ალბათ, ამ სკოლაში ახალი მოსულები იქნებიან. — იჯდა გილაური წყნარად და ასე ფიქრობდა თავისთვის.

5

დიდი ზემი იყო გილაურიანთ სოფელში ათწლეულის გახსნის დროს. მთელს სოფელში უტნაური სიხარული დატრიალდა. ამ სოფლის მოწვევებმა, რომლებიც ტფილისის ტექნიკუმებში სწავლობდნ, ისევ თავის სოფელს მიაშურეს, და მშვენიერი მეცადინეობა გაჩაღდა.

ტფილისიდან დაბრუნებულმა მოწვევებმა სოფლის სკოლას ბერი ახალი რამ მიუტანეს, ლექსოს კი კარგი ბიბლიოთეკის მოწყობის სურვილი ამოძრავებდა.

ამ საკითხს მან თავისებური სიკვირცხლით მოჰკიდა ხელი. ლექსომ ეს საკითხი უჯრდელზე, თვითორგანიზაციანზე და პედსაბუჯეც გაატარა. ყველგან მოიწონეს, ან კი ვინ იტყუადა ასეთ კულტურულ საქმეზე უარს! პედსაბუჯომ მიიღო მოწვეფთა მიერ წამოკრილი აზრი, და რამდენიმე ასეული წიგნის ყიდვა დაადგინეს. თანხა სკოლის ბალის შემოსავლიდან გამოკვეს.

არ გასულა დიდი ხანი, და სკოლაში უამრავი წიგნი მოიტანეს.

— აუუ, რამდენი წიგნია! აბა, იკითხეთ, ბიჭებო, წიგნები! — ისმოდა ლექსო გილაურის მხიარული ხმა.

ათწლეულის გახსნას ახალი ბიბლიოთეკის მოწყობაც თითქმის კვლადკვალ მოსდევდა.

— მოგვეციო წიგნები! — მისძახოდენ მოწაფეები მასწავლებელთ.

— ჯერ საუბრები ჩავატაროთ და მერე...

— ჩვენ უნდა წავიკითხოთ ეს წიგნები: მათი აზრი უნდა მივიტანოთ ჩვენ მშობლებამდის და მაშინ იქნება ამ ბიბლიოთეკის გახსნა ნაყოფიერი, — ასეთი იყო ლექსის სალოპარაკო თემა. ბოლოს მან საბიბლიოთეკის წრის ჩამოყალიბებისას მოკიდა ხელი.

ტექნიკაში, მართალია, „არსენა მარაბული“ დაამუშავეს, მაგრამ თავისი სოფლის სკოლაში ლექსი სხვა საკითხების საკურობებს უფრო გრძობდა. ამ ახლადმოწყობილ ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო წიგნი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო ერთი მოეწონა, რომელსაც „მიკრობებზე ნაღირობა“ ჰქვია.

მშენიერი სათაურია.

სკოლის მთელი ჰიონერები ამ სათაურმა დააინტერესა, რადგან მათ იცოდნენ, რომ მიკრობი უმარ-

ტივესი რამ არის და თანაც საშინელი მავნებელია. უნდათ ვიფიქროს, როგორია იქნება მათზე ნაღირობა, ამიტომ უნდა ყველას მის შესახებ მოხსენების მოხსენიება.
— ჰე, ბიკო, რას იტყვი, ხომ გაცხოველდა მუშაობა?

— უჰ, ძალიან მუშაობაა, ძმაო...

— პედასპეოც კარგად გვეხმარება...

— ვასაქანი მისცეს ჩვენს თაოსნობას...

— კარგი საქმის თაოსნობას ვინ არ შეუწყობს ხელს, — წყნარი ხმით ელაპარაკებოდა ერთიმეორეს ორი მოწაფე, რომელთაც თავისი სოფელში საშუალო სკოლის გახსნა მეტად ახარებდათ. ისინი მერვე ჯგუფის მოწაფეები იყვნენ და ამიტომ ბევრ საქმეში თაოსნობასაც იჩენდნენ.

სკოლის ხელმძღვანელობამ ამის შემდეგ მიზნად დაისახა სასოფლო საბჭოსთან დიდი საგლეხო ბიბლიოთეკის მოწყობა, გამოყვეს თანხა, შეადგინეს გეგმა და შეუდგნენ მუშაობას...

ლაგ. კიკინაძე.

მინდვრის დამაპყრობელს

აბა სწორედ ახლაა დრო
შრომისა და ოვლის წურვის,
ყველა მინდვრად გაიყვანეთ,
ნუ დატოვებთ სახლში ნურვის!
დრო გაცდენას როდი ითმენს,
მუდამ ჩარხივითა ბრუნავს,
ის, ვინც საქმეს ერიდება,
ჩანს, ქვეყნისთვის არას ზრუნავს
და თავის თავს ღებავს სულმთლად
მკონარა და მუქთახორა,
მარტო იმის ნატვრაშია,
ერთი საღმე გააგორა.
ასეთებს კი ცხოვრებაში
რომ არ შეხედეთ რამე ავი,
უფრო მეტის ყურადღებით
ჩაუკარით მინდვრად თავი!
ზოგი სამკალს მიუჩინეთ,
ზოგი სათიბს, ვასათოხნელს,
ნუ დაარჩენთ გაუნძრველად
როგორც პირუტყვს, მარტო მკონენელს.
ყველას საქმე, საქმე ყველას,
მხოლოდ არა ძმუნეშოვარს,
რომ ბოლოს არ მიემატონ
გინდ გლახას და გინდ მათხოვარს.
ერთი სიტყვით, მოსავლისთვის

ყველა უნდა დაფაცურდეს,
როცა შრომა გათავადება,
მოისვენოს, როგორც სურდეს!
ვინც თავისით გაიტანა
წერა-კითხვის ცოდნის ლელო,
მას ამ დროსთვის მოუთმენლად
ელის ყველგან სამკითხველო!
წიკითხოს ვახეთები,
ქურნალს თვალი გადაეკლოს,
რაც კარგია შეითვისოს,
შეიგნოს და შესწავლოს.
აბა, ჰე, თქვენც, პატარებო,
მოუღეკით დიდებს მხარში:
ვიდრე სწავლა დაგეწყებათ,
იხალისეთ მთა და ბარში.
წილად რაც გვხდეთ, შეუტეთ,
საქმეს უყვარს მეტი ძალა,
რაც დღეს უნდა გააკეთოთ,
არ გადადოთ, არ თქვით „ხვალა“,
თორემ ეს თქმა ყველა თქვენგანს
დააძმარებს, დააღონებს
და ზაფხულში გამცლარ დღეებს
სინანულით მოაგონებს.

შოთა მღვიმელი.



მივაბიჯებთ მწყობრად ერთად,
დიდამ მოკლა ღამის გლოვა,
გადმოეშვა ციდან თეთრად
მოეღვარე ღრუბელით გროვა.

კოლექტივის ხარობს ყანა,
გამარგლილი ელის მორადს,
ემუშაობთ ჩვენ სიხარულით,
არ ვითვლებით ახლა მონად.

აქ ვხედავდით წინათ ბუჩქნარს,
წელს გმირულად დახვს ახო,
და ისეთი პირი უჩანს,
გზიბლავს შორით დაინახო!

ჩვენ მოძმენი გამოვძებნეთ,
როცა სოფელს დაეუბრუნდით,
რომ ბანაკად გვეყავდეს მოძმედ
პიონერთა მთელი გუნდი.

კომკავშირის გამოწვევით
დღეს ვუთოხნით ყანას არტელს,
შრომის დროშას ავწვეთ ზევით
და სიხარულს მზეს შევმატებთ.

ბანაკისკენ წავალთ ერთად,
რომ დადგება ღამის გლოვა,
აინთება ცაზე თეთრად
მოვერცხლილი ღრუბელით გროვა.

კალე ბოზობიძე.

X ე მ ბ ე რ

მოკმედება მე-2

(ავარების ბინა. პატარა ოთახი. უსულთაო კარი, რომლითაც შედიან. ჩანს ვარდნაც. ოთახში დედაბერი კარტსა შლის).

დედაბერი. ვალეტი... აფურის ტუზი... ვიშ, ქაა! ყვა-
ვი... აი გრისხედეს სამას საშოცდასამი წმინდა გიორგი!
რალაც ბედნიერება მოდის, მაგრამ ეს წყველი ყვაფი რას
აედევნა! ღმერთო, ყოვლად სახიერო უფალო, შენ მომი-
მართე ხელი... აბა ერთხელაც... (შლის)

უბაჩო. (გარედან მოადგა კარს. აკაკუნებს)
დედაბ. (კარტს კრეფს ვაფაციცებით). ვინ არის?
უბაჩო. მე ვარ, დედი...
დედაბ. ვინ შენ? სახელი არა გაქვს?
უბაჩო. მე ვარ, უბაჩო!
დედაბ. შემოდი, კარი ღიაა!
უბაჩო. (შემოდის). დედი, დამალე ჩქარა!

დედაბ. რა არის?
უბაჩო. თამბაქო, კონტრაბანდა, არავინ ნახოს...
დედაბ. მოაშორე, მე მაგვების თაფი არა მაქვს!
უბაჩო. ნუ გეშინია, შენც მოგიტანე ვასამრჯე-
ლო, აი ნახე.. (იღებს ვერცხლის საათს)
დედაბ. სად იშოვე?
უბაჩო. სადღურზე... ბიჭებს აეძროთ მძინარი-
სათვის...
დედაბ. თამბაქო ეგ ერთია?
უბაჩო. მეორე კიბის ქვეშ დავმალე... ამ წუთში
მოვიტან.
დედაბ. მოიცა, მოიცა, ჯერ ეს დავმალოთ.

ქმარა, აბა სად?

დედაბ. აი იქ, სკივრში. (სიძიან, დეგენ)

ქმარა. ეს კარგა დიდი ყოფილა, მეორეც ჩაეტევა!

დედაბ. გასწი და მოიტა. ხომ არავინ დაგინახა?

ქმარა. არავინ, ნუ გეშინია, ფრთხილად მოვდი-
ოდი, დახურული ფატირინით მოვიტანე. (ვარბის).

დედაბ. ამ საათს არა უშავს რა... ჩემი მკითხა-
ობა ახლა... ღმერთო, კვლავაც ნუ მომაკლებ შენს
მოწყალებს! ჰო, მართლა, უნდა დროით მივმლო,
თორემ, თუ დათვრენ, იქნება ისევ წამართვან. (ღებ-
ღება ვარეთ) არავინ არის. (ჩამოიღო იესო ქრისტეს
ხატი, გახსნა და შიგ ჩაღვა) გმადლობ შენ, უფალო!
(ხატი ჩამოკიდა): კიდევ უნდა წავგლოჯო რამე, თო-
რემ ეს ცოტა!

ქმარა (შემორბის). აბა, ესეც მეორე. სკივრი
ახალი, დელი!

დედაბ. ისე ჩაღე, დაიხუროს!

ქმარა. არხეინად იყავი (შეინახა).

დედაბ. როდემდის გინდა ესენი აქ ვყაროს?

ქმარა. ვა, შეე დალოკვილო, მოიტა, რაღა, ქლე-
სო მოვიდეს, ჯერ ხომ არც კი მომიტანია! დაგჭირთ
და პატარა ბიჭებს გვაჯტანთ ვასაყიდდ. მართლა,
სად არის საკრული „მაშინკა“?

დედაბ. გარეთ, „კუნის“ ბუხარში. თქვენი შარი-
ანი საქმეების თავი სადა მაქვს, მეშინია, უცბათ არა-
ვინ წააწყდეს!

ქმარა. ეე, შენც ერთი... დამიწყებ ახლა წუ-
წუნს. ვაიხედე, რა ამბავია, და! უშაროდ ლუკმას
ვერ შეგვა. ოხმე, ამისა... მოიტა, ღვინო არა გაქვს?

დედაბ. ამხანაგს აღარ დაუცდი?

ქმარა. ამხანაგი რაში მენაღლებამ! დღეს კარგა „სუ-
ნიანი“ საქმე ვაკეთდა, იმასაც ეყოფა. ჰა, მოიტა მეთქი!

დედაბ. ნუ ყვირი, ბიჭო, არავინ გაიგონოს, შე
ღვთისაგან გარისხულო, თორემ ემ სათაში ყველა-
ფერს ვარეთ ვადაგიყრი.

ქმარა. გადამიყრი თორემ ჩემისთანა გულუბვი
სხვა მოგვია!

დედაბ. მაყვედრი კიდევ! წაიღე და ჩემისთანა
შემნახველი სხვა იშოვე... თქვენი გულისათვის დღე
არა მაქვს მოსვენება და ღამე! შიშისაგან ღამის გავ-
თავდ. ამ ხნის დედაკაცი ციხეში რომ ჩავჯდენ, რო-
გორღა უნდა გამოვყო თავი ვარეთ?

ქმარა. ციხე, თორემ ხამი ხარ! ექიმპაშობისა და
მკითხაობის გულისათვის რამდენჯერ მჯდარხარ!

დედაბ. მერე, ღვთის გულისათვის თავის განწირვა
და თქვენი ქურღბაცკობისათვის ერთია?

ქმარა. მამა გიტხონდა, ნუ ვამბობ! ღვინო მეთქი,
რამდენჯერ უნდა ვითხრა!

დედაბ. აბა, ჩაეცხლო! (მოაქვს ბოთლით)

ქმარა (სვამს). კარგია, მიამ! პატარა ბიჭებს ხომ
არაფერი მოუტანიათ?

დედაბ. გუმინ არ იყო წახველი, როგორც
მოუტანათ!

ქმარა. ჰო, არ დამალო, აა, თორემ ახლა
შეიქნება!

დედაბ. არა მეთქი, შე ღვთისაგან გარისხულო.
რატომ არა გჯერა?

ქმარა. არც ყომარი უთამაშობათ?

დედაბ. ვერაფერი იშოვეს, რით უნდა ითამაშონ.
თქვენც არაფერი გავიტანებიათ ვასაყიდდ და აბა
საიდან?

ქმარა. ყველას დაეზოცავე მაგ მამაძაღლებს, სულ
ჩვენ უნდა გვიყურონ? ქლესოც ქალაქუნობს, იმ ახალ
ბარტყს ვერაფერი ასწანა?

დედაბ. არაფერი უთქვამს (შემოდის ქლესო). აი
თვითონაც...

ქლესო. ვა, ტიელო, უჩემოდ ქეიფობ?

ქმარა. ბატონი კი არა ხარ შენ გიცადონ.

ქლესო. ჰო, აბა ცოტა ხანს უყელო... მე დღეს
ისეთი საქმე ვავაკეთე, შენ სიზმრადაც ვერ ეღირსე-
ბოდი!

ქმარა. არა, მართლა? რა საქმე, ბიჭო?

ქლესო. ოქროს საათი მოდის თავისი ფეხით...

ქმარა. სად არის, მაჩვენე!

ქლესო. მოდის მეთქი...

ქმარა ვის მოაქვს?

ქლესო. ჯუმბერს, ვახ მაგისი... მთელი დღე
მოუწინი მაგ გველის წიწილს, ძლივს ვავაბედვინე!

ქმარა. ძალიან შშიშარა!

დედაბ. ახალია, ჯერ ვერა ბედავს.

ქლესო. გავწურვითნი, არაფერია! იქნებ მერე
ჩვენც ვვაჯობოს!

ქმარა. მაგისთანები გვინახავს? ჯერ ცოტა შე-
ტობოს...

ქლესო. საათი ნაღდად მორასი თუშინი ღირს...

შეტოპვა მავაზე მეტიო? პორჩა, ჩვენია და ჩვენი!
ხე-ხე-ხე! (ორიგინი იცინიან)

დედაბ. შეჩვენდით, აბა!

ქლესო. დაასხი, დაასხი, მარტო შენ უნდა ცეცხლო?

ქმარა. აღლილია, ძმო, აღლილი! დლიე! მაგრამ
სად არის აქამდის, რომ არ მოიტანოს?

ქლესო. მოიტანს! იმდღევანდელი წაგებული ისე
აწუხებს, ღღეს რომ არ მოვიგოს, მოკვდება. მო-
იტანს... ფული გაქვთ?

ქმარა. რად გინდა?

ქლესო. უნდა დავივიროთ, პირდაპირ წართმე-
ვა არ ივარგებს, დადოთხება! იმათი სახლიდან კი
ჯერ ბევრი რამ არის გამოასახიდავი, გეგმის!

ქმარა. ვა, მესმის, ხამი ხომ არა ვარ!

ქლესო. ჰო და მიეცი ფული ამ ბებერს!

ქმარა. ბებერი რად მინდა, მე დავვივარებ!

ქლესო. ვაიმე, ვაიმე! შენ სულ გამოვცლია ტვინი,
არ იცი, რომ შენ არ გენდობა? ბებერს კი დაუჯერებს!



ყბაჩო. რამდენი მივსცე?
ქლესო. საათი ორასი თუმანი ულაპარაკოდ ღირს, მაგრამ ჩვენ ხომ მაგდენს არ მივსცემთ, მიეცი ათი თუმანი: ხვალ უნდა გავფუშოთ ხელათ!

ყბაჩო. ხლავორთში არ გავებთ, აი!
ქლესო. რომელ „ხლავორთში?“ თუ საქმე გაქირდა, დანაც მზად არის, დანის კი ძალიან ეშინია!
ყბაჩო. აჰა, ბებერო, ფული, აბა შენ იცი, როგორ იაფად მოურიგდები!

დედაბ. თქვენი თავი დაარჩევთ, მე ვგეები არ მჭირია! (ართმევს)

ქლესო. დაასხი, დაასხი, პატარა ეშხე მოვიდეთ!
ყბაჩო. თამაჰო მოვიტანე, დროით უნდა დავჭრათ და ბიჭებს გასაყიდოდ გავატანოთ, სფეროთხილე კი გვემართებს. იქერენ, ძალღებვივით სდევენ! მართლა, შენი ჯუმბერი ივარგებს ამ საქმეში?

ქლესო. გიყი ხარ? ვგვთ საქმეში ხამს გარევენი? ჯერ პატარა დაიცა, რაღა!

ყბაჩო. კარგი, ეგრე იყოს. (ასხამს ღვინოს)
ქლესო. ჰო, კარგი ღვინოა! შენ გენაცვალე! დღეს ქეიფის გუნებაზე ვარ, მაგრამ ჯერ საათი, მერე თამაჰო და ამელამ ერთი გემოიანად შევაცოლოთ!

ყბაჩო. მიდი, შენს იშტას ვენაცვალე... პატრონდება არავის შერჩენია! დალიე, ბიჭი მოვიკვდეს, თუ ეშმი ვაგიტეხო, ოღონდ ყველაფერმა რიგზე ჩაიროს!

ქლესო. გავვიმარჯოს, ნუმც გვენახოს გაქირვება! დალიე! (სვამენ, შემოღის ჯუმბერი)

ორივე. ოო! ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

დედაბ. მოდი, შევილო, მოდი!
ქლესო. მე მგონა არ მოხვიდოდი, ჩვენც კეთილად ვიყავით!

ჯუმბერ. მე ქეიფობა არ მინდა. (ყბაჩოს) თუ გინდა, მეთამაშე!

ყბაჩო. ოჰო, ამას თამაშობა ძალიან ვაუტკბა, აი!

ჯუმბერ. მეთამაშები თუ არა?

ქლესო. ყოჩაღ, გულადი ბიჭი ყოფილხარ!

ჯუმბერ. არ შეგარჩენ ინდღეევანდელს... ყბაჩო, შენ გეკითხები!

ყბაჩო. ძალიან გულით გინდა?

ჯუმბერ. მინდა!

ყბაჩო. რამდენი გაქვს?

ჯუმბერ. აი, რაც გამოვა! (ამოიღო, საათს აჩვენებს... გამოირჩენ ვასო და ნუცა, იყურებიან გასაღების ქუჩურუტანაში)

ქლესო. ეგრე ერთბაშად? არა, ცოდო ხარ!

ჯუმბერ. ჯერ მარტო ძეწვეზე... გინდა? (ხსნის ძეწვეს)

ყბაჩო. მინდა, მაგრამ რომ წავაგო, ძეწვევი მე არა მქვს. მოდი, ფულად აქციე!

ქლესო. კი აზრია, დააგირავე, ჯუმბერ!

ჯუმბერ. მერე, ვინ დაიგირავეს?
ქლესო. ფული არავის გაქვთ?
დედაბ. მარევე ერთი აქ. (ართმევს ძეწვეს)
ქლესო. შენ გენაცვალე, მგონი, გაიჩარხა საქმე!
დედაბ. რამდენი ღირს?
ჯუმბერ. ხუთ თუმანში აიღე!
დედაბ. არა, შევილო, წადი, იქნება სხვამ ათიც მოგვს!

ჯუმბერ. ოქროა, ბებო!
დედაბ. მერე, მაგდენი ფასი რა ამბავია?

ჯუმბერ. რამდენს იძლევი?

დედაბ. არ მინდა, ვერ მოვირიგდებით!

ჯუმბერ. თქვი, იქნებ მოვირიგდეთ?

ქლესო. მე მოვარჩებთ, შენი ფასი უთხარ!

დედაბ. თუმანი...
ჯუმბერ. ვაიმე, ვგრე ცოტა?!

ქლესო. ჩემი ჩიტყვა კანონია, ამოიღე ფული, 15 იყოს!

ჯუმბერ. არა, ცოტაა. მართალია, შინიდან წამოვიღე, მაგრამ მუქთად ვადავადლო?

ქლესო. მერე, შე ტუტუცო, ხომ არ ყიდი, აგირავებ. მოიგებ ფულს და ისევე გამოიხსნი... მე გამიგონე, მოიტა აქ! (ართმევს, ფულს უთვლიან)

ვასო. ხედავ, რა სისაძაველზე ხდება!

ნუცა. ეს ის არის, ჯუმბერთან რომ იყო!

ვასო. აი არის, აი თურმე რა სდომია... სახლიდან საათი აქურდინეს, რომ მუქთად ჩავიდონ ხელში.

ნუცა. მოიფიქრე რამე, ჯუმბერი უნდა ვიხსნათ.

ვასო. ჰო, არ ვიცი, არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

იცი რა, ნუცა, გაიქეცი სკოლაში, ან მასწავლებელი მოიყვანე, ან კომპაგვირის უჯრედის მდივანი, როგორც ისინი იტყვიან, ისე მოვიქცეთ!

ნუცა. ახლავე, შენ კი გავრთხილიდი, მაგათ დანები აქვთ!

ვასო. ჩემი დარდი ნუ გაქვს, მალე მოდიო! ყველაფერი უთხარ!

ნუცა. ვიცი, ვიცი! (მირბის. ვასო იყურება ქუჩურუტანიდან)

ყბაჩო. ეგრე, ახლა კი დავიწყეთ. კარტი მოიტა, ბებერო!

დედაბ. აი, იხეთქე თავში! (აძლევს)

ყბაჩო. რომელი გინდა — „აჩყო“ თუ „ბანკი“?

ჯუმბერ. „აჩყო“.

ყბაჩო. დავიწყეთ. ხუთმანეთიანს ჩავდივარ. (ჩადის. არიგებს ბანკს)

ქლესო. ჰო, აბა, ეშმაკობა არ იყოს... მე არ დავაჩაგვრინებ ჯუმბერს!

ყბაჩო. ვა, თვალები ზედ არა გაქვს? მიყურე, რაღა! რამდენი გინდა?

ჯუმბერ. მანეთი იყოს... ორი კარტი!

ყბაჩო. (აძლევს). კიდევ?



ჯუმბერ (შლის ფრთხილად). შენთვის!
უბაჩო. აა, ვდგები... ეს არის, რაც არის. თერა-
 მეთა!

ჯუმბერ. ჩემი ცხრამეტია!
ქლესო. აი ყოჩაღ, კარგად დაიწყე... მიდი,
 მისცე!

ჯუმბერ. მოიტა კარტი. 3 მანეთი!
უბაჩო. ვა, ერთბაშად გინდა გამატყაო!
ჯუმბერ. მოიტა მეთქი... შენი გულისა, აჩკოა!
უბაჩო. ვაიმე, მანეთი-ლა დამრჩა, ცოტა, ცოტა
 თქვი!

ქლესო. რატომ შენ არ ამბობდი იმ დღეს ცო-
 ტა-ცოტას? (თვალი უყო უბაჩოს)
უბაჩო. (მაგიდის ქვეშ ბანქო ჩააწყო მოსაგებად)
 ეს, ღღეს თარს ფეხზე ავდექი... რამდენი გინდა?
ჯუმბერ. სულ მომეცი, მანეთი-ლა დარჩა! ორი
 კარტი...

უბაჩო. რაღა ორი, ერთი თქვი!
ჯუმბერ. მომე, მომე. ვაიმე, პერებოროა!
უბაჩო. ძლივს! ჩალი!
ჯუმბერ (ჩაღის). მომეცი კიდევ ბანკი.
უბაჩო. ცოტა თქვი, კაცო... ვახ, ბას ვადამე-
 კილა! (ბანქო კიდევ ჩააწყო)

ჯუმბერ. შენთვის!
უბაჩო. აა, რაც იქნება, იქნება! (გადმოაბრუნა
 კიკო, დაარტყა კიკო) „აჩკო“.

ჯუმბერ. თვალი მკარ! დამაცა, ვაჩვენებ შენს
 სერის! კიდევ ბანკი!

უბაჩო. ოთხი მანეთია!
ჯუმბერ. იყოს (შლის ბანქო, წაგო)
ქლესო. ცოტა უთხარი, ბიჭო, რა ძალა გადგა!
ჯუმბერ. უნდა მოვუფო. გესმის, უნდა მოვუფო!
 5 მანეთი!

უბაჩო. ვახ, რა აზარტიანია და! (ბანქო ჩააწყო,
ჯუმბერი მიძიმედ შლის ბანქოს. გარედან კარს მო-
 აღგენ გიორგი და ნუცა).

ვასო. მოხვედით? ნახეთ: სულ წააგებინეს!
გიორგი. (შეიხედა). ავარების ბუნჯია! კი აღგე-
 ლისათვის მიუგნია ჯუმბერს... ყოჩაღ, ყოჩაღ, ბიჭო!
 დალუბავენ!

ვასო. უნდა ვუშველოთ, ამხანაგო გიორგი!
გიორგი. ჰო, ჩვენი მოვალეობა მოგვიწოდებს.
 ჯერ კი ამ ავარებს უნდა გამოვგლიჯოთ ხელიდან.
 ნუცა, შენ იცი მაგისი დედა სად მსახურობს?

ნუცა. ვიცი.
გიორგი. ვასწი, მოიყვანე, აქვეა ახლოს!
ნუცა. ახლავე... (გარბის)
გიორგი. შენ აქ დარჩი, უთვალთვალე, მე მალე
 მოვალ! უჩემოდ არაფერი გაბეღო! (გაღის)
ვასო. სად წავიდა? ეჰ! (იყურება ჰუჭურუტანაში)
ჯუმბერ. კიდევ ხუთი მანეთი!

უბაჩო. ფული გაქვს?
ჯუმბერ. რა, მანისთავე!
უბაჩო. რად განისიავო? აი ის ბებერი
 დაიგირავებს!

დედაბ. ახლა მაგაში უნდა ჩამიღუფებინო ფული?
ქლესო. გეუბნები, მიძიმედ თამაშე მეთქი... ანდე
 რა ხელათ წააგე... მეთი რა გზაა, ამოიღე საათი!
ჯუმბერ. საათი აღარ... ფული მასცხე!

ქლესო. ფული სადა მაქვს?
ჯუმბერ. ბებო, შენ მასცხე!
დედაბ. ვასცხხო? როდისღა უნდა ჩამასცხხო? მე
 ყოველ წუთში მჭირია!

ქლესო. დააგირავე, სულ ხომ არ წააგებ?
ჯუმბერ. არა, მეშინია!
ქლესო. რა გაშინებს, აქ არა ვარ?
ჯუმბერ. წელანაც აქ იყავი, მაგრამ ვერაფერი
 მიშველე!

ქლესო. შენ არ იცი თამაშობა, დააგირავე,
 მე ვეთამაშები!

ჯუმბერ. ნწუ, არა!
ქლესო. როგორ, მეც არ მენდობი?
ჯუმბერ. არა, წააგებ, გამანებე თავი!
უბაჩო. ვა, შე უფებორო, იშტაზე მომიყვანე და
 ეხლა ამბობ უარს?

ქლესო. ამოიღე, თორემ სისხლი მოვიდა ყელში!
ჯუმბერ. (ტირის). არ მინდა, არ მინდა!
ქლესო. მე შენ გიბრძანებ, დაუგირავე!
ჯუმბერ. (უკან-უკან იწევის). არა, მეშინია, სამუ-
 დამოდ დაეკარგამ!

ქლესო. მე მინდა თამაშობა, ვაიგე თუ არა?
ჯუმბერ. თამაშე, მხოლოდ ჩემი საათით კი არა.
ქლესო. ნუ მაბრაზებ, თორემ ინანებ!
ჯუმბერ. არ მინდა და მერე რა ვუყო? (ამ
 სურათის დროს გარეთ ვასო მოუხვეწრად ქმუშტავს)

ქლესო. წავართმევ, შე ლაწირაკო! (ეცა)
ჯუმბერ. (ყვირის) ვიტყვი, ყველგან ვიტყვი!
ქლესო (ხელს გაუშვებს). რაო, რა თქვი ეგ?
ჯუმბერ. ნუ წამართმევ, ვიტყვი!
ქლესო. იტყვი? გაგვეცე? ერთი და ორი არ
 გამიგზავნია!

უბაჩო. ვა, უყურებ რა თქვა, ამა გამიფორე კიდევ!
ჯუმბერ. ჰო და ძალათ ნუ მართმევთ!
ქლესო. მაშ ავრე! ამა წლი და ახლაცა თქვი...
 (ღანა ასწია დასარტყმელად).

ვასო. (უცბად თავგანწირულიად ხელი ჰკრა კარს)
 შედექ, არ გაგიშვებ!
უბაჩო. ეს ვინღა, საიდან?

ქლესო. აა, წყნარ აგიტანა? გვიოვალთვალეზბდი?
 მოგსაობთ, ძაღლის ლეკვო! წინაც მიღებები, ვანა!
 (ღანა დასცა იღლისათან)
ვასო. მომკლა! (დაეცა)

დედაბ. ამიკლებენ, ამიკლებენ! რა ქნეს ამ დასამიწებლებმა!

ქლესო. იალა, თავს ვუშველოთ! (გარბიან. შემორბიან გიორგი და მილიციონერი)

მილიც. შედექ! არ გაინძრეთ... დაიწით უკან! (ქლესო შემოყავით ოთახში)

გიორგი. ეს რა ამბავია?

ჯუმბერ. (ღრმა გულისტკივილით). მოკლეს... ვასო მოკლეს!

გიორგი. (მივარდა). ვასო! ვასო დაჭრილია!

ჯუმბერ. ვასო... ჩემი გულისათვის... (ტირის)

მილიც. ვინ დაჭრა? აა! არ ამბობთ? კეთილი, ჩვენ თვითონ გავიგებთ! მომეცი აქ ეგ სისხლიანი დანა (ქლესოს ხელიდან წააგლიჯა)

დედაბ. ახლა! ყვავის ტუშმა თავისი ქნა!

გიორგი. მიშველეთ, სისხლი შევუწყვიტოთ! (შემოდინ ნუცა და დედა)

ნუცა. ვასო! რა დაემართა ვასოს? (მივარდა)

დედა. შეილო, რატომ არ დაებრძვდები, რომ შენ აქა ვხედავ!

გიორგი. ექიმი... ექიმს დაუძახებ!

ნუცა. ვასო დაჭრილია... ვაიმე, ექიმი! (გარბის)

მილიც. აბა, თქვენ გამიძახებთ წინ, იქ მოვილაპარაკებთ, შენც მომეც, ბებერო! (მიჰყავს)

ვასო. მიშველეთ... წყალი!

გიორგი. დაჭრილს წყალი არ მიეცემა... და-

შვეიდი, ახლავე...

დედა. ჯუმბერ! ეს შენ გულისათვის, განა? უსიკხეილო, ზნედაცემულო! მომწყდი! ჩემი შეილობა აღარსად თქვა! ვაი მე უბედურს! (ტირის)

ჯუმბერ. დედა, დედა! (კვითინებს)

ვასო. (ხრიალებს) წყალი... წყალი...

შ ა რ დ ა.

ს. მთვარაძე



მავი კენძლი

თქვენი ხისლით შეღებილი უდაბნოები წითელ ღროშებად დაგფერიანებს ხმაურთანად შაიკოვსკი.

1920 წლის იანვარი გადიოდა. ნავსადგურის შენობათა ფანჯრებს ქარიშხლისაგან ვადმოსროლილი ზღვის წვეთები ასველებდა. პეტროვსკის ქუჩებში წვიმის ხმაური გაისმოდა. ჩრდილოეთით პეტროვსკიდან ასტრახანამდის ზღვა ყინულით იყო დაფარული.

ძველი გემი „ნიკოლი“ ორთქლს უშვებდა. მიულაგებელ კაიუტებში ეკიდა გასული წლის კალენდრები და ბუზებისაგან ვაჭუჭუკიანებულო კოლჩაკის სურათები. პალუბას მიჰკროდა თუთუნის ნამწვავები და ვაყვითლებული გაზეთები. გემის მესაქის კაიუტაში სიცოცხისაგან ჯალურჯებულო და მობუზულო გუშაგი ელოდა კაპიტანს. კაპიტანმა დაიგვიანა,

ჩარჩა ქალაქში. მესღეფურები საწოლებში ეყარნენ. ერთ კაიუტაში წითელხავერდგადაცრულ სავარძელში ეძინა ბრაზიან ოფიცერს,

ისარგებლეს რა ღრუბრბლიანი ამინდით, ყველა ნახვრეტიდან და კუთხიდან ვამოკოცდენ გემის ბარლინჯოები. სატვირთოში ხრინწიანი ხმით დაიყვილა წინაღლით მოპარულმა მამალმა.

„ღროა ჩვენი გიტარა სასაფლაოსკენ გავმზავროს“ — ვაიფიქრა გუშაგმა და გაიხედა იქითკენ, სადაც მოახნდა სპილენძის პატარა ფირფიტა, რომელზეც ეწერა ინგლისურად, რომ გემი „ნიკოლი“ აგებულია 1877 წელს ქალაქ ნიუ-კესტლში.

გუშაგმა შეხვედა ვეილი მიღს. რომელსაც ბევრი
ომ გამოველო და ენასა, რომლიდანაც რუხი
ბოლი ამოიღოდა.

— რა ნაგვით ახურებენ! — თქვა გუშაგმა და
შეკრთა. ნესტიან კვამლში მთაზე ხარბაზანი გავარდა.
საწოლიდან გამოძვრა მეზღვაური, რომელსაც
შიშველ ფეხებზე კალოშები ჩაეკვა. ხანტად გაიარა
პალუმა, ავიდა პატარა ხიდზე და ყური დაუგდო.
ყურ სროლა გახშირდა.

— ჩანს, კადებს წითლები უშენენ, — უთხრა
გუშაგს და თვალები ოდნავ მოხუტა. ჰო, ცხადია!
ხასავ-იურტის მხრიდან უტყვენ, ღამე პეტროსკ-
ში იქნებიან. საჭიროა ამაზე კაპიტანთან მოლაპა-
რაკება. კომანდა ფიქრობს გაექცეს ევაკუაციას. სა-
ღამოთი დაეძვრებით და გაუფლდებით ზღვას წყნა-
რად, პატიოსნად, უიარაღოდ.

მეზღვაურმა ხელი გაიშვირა აღმოსავლეთისკენ,
სადაც ზღვა დულდა როგორც ქვაბი, ჭუპკიანი საპ-
ნის ქვაბი.

გუშაგმა ვაიხედა გემის ბოლოსკენ, სადაც სამ-
ფეროვანი სველი დროშა ფრიალებდა, და ამოიოხ-
რა. ეხ, ყველაფერი რომ ისე დასრულდეს, როგორც
მოფიქრებულია: გაექცენ დენიკინელებს, ევაკუაციას.

— კაპიტანი სადაღც დაიკარგა. ჩავსვამს ეს ამბავი,
— ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან და გავიდა პალუმაზე.

გემისაკენ მოდიოდა ინგლისურფარაჯიანი ხალ-
ხი. ისინი მოკუპაუნებდნენ გუბებში და მოათრევე-
ლთ თოკზე გამობმულ ტყვიამურქვეველს. გუშაგმა
შენიშნა კაპიტანი პლაშით. უღვაშებიდან წვიმა
წვეთებდა ჩამოსდიოდა, თითქოს ჩუმად ტრისო.

დენიკინელების რაზმი ავიდა პალუმაზე, ოფი-
ცერი, რომელსაც ვადმოკარკულერი ნაცრისფერი
თვალები ჭქონდა, შევიდა კაიუტაში, მძინარე ოფი-
ციანი ფეხით დაითრია და ხრანწიანი ხმით დაუყვირა:

— წაითრიე შენს ადგილას!
ოფიცირებმა ამოიღო ჯიბიდან ხელსახოცი, მო-
იწმიდა სახე და გავიდა. მოხურულ კარს ისეთი თვა-
ლებით შეხედა, ცოცხალი არსება რომ ყოფილყოფილი
შიშისაგან შეკრთებოდა.

ჯარისკაცები სამფეროვანი ნიშნებით მკლავებზე —
„სიკვდილის ბატალიონი“ — ამტვრევდნენ კაიუტების
კარებს, ვიდრე გასაღებს მოუტანდნენ, და თან ვილაღს
ემუქრებოდნენ. შესასვლელთან ყარაული დააყენეს.

კაპიტანი შევიდა მესაქის კაიუტაში და აკანკა-
ღებული ხელებით დიდხანს ცდილობდა ტანზე მიკ-
რული პლაშის გახდას. გუშაგი ნაღვლიანად უყუ-
რებდა და ეკლდა. ბოლოს კაპიტანმა ამოიღო და-
ქეკელიც პორტსიგარი და თუთუნი გააბოლა.

— არ აგვიდა მინც. გავაწესეს ევაკუაციის-
თვის. ბევრი ვილანძღე შტაბში: „ჩემი გემი ნავსად-
გურის ღუზაზე მიმავრებელი და მინც ღამის
მთლად დიშალოს, როგორ გავფუშავ ახლა ზღვაში,
ამ საწინელ ღელვასა და ქარიშხალში?“ იცინიან.
„ჩვენ, — მუბუნევიან, — ისეთ ტვირთს მოგცემთ,
რომელიც დასანანი არ არის.“


— რა ტვირთია ასეთი?

— ბოლშევიკები საპრობილიებიდან, — აი ვინ,
გაიგე?

— მერე, სად წაიყვიანო?

— არის მათთვის შესაფერი ადგილი. სადაც გი-
ბრძანებთ, იქ წაიყვიანეთ. და თუ არ გინდათ ზღვაში
გასვლა, ამაზე სარდაფში მოვილაპარაკოთ. მინც
მოგინდებთ.

კაპიტანი დაჯდა და აიღო გემის დღიური. დღი-
ურში აღნიშნული იყო მრუდე ხაზები: „ნორდ-ოსტი
10 ბალის სიძლიერისა, ღელვა — 9 ბალი, სატვირ-
თოებში წყლის დონე — 30 სანტიმეტრი“.





— სატვირთოებში წყლის დონე 30 სანტიმეტრი! დღიური გადავდო და ღიმილის მაგიერ სახე დაეღრიჯა.

— ხალხ უნდა ჩავყაროთ სატვირთოებში... სახე აელწა. — წყალში, სატვირთოებში! ნიკოლოზის ქვეშ მოვეკურეთ საქემდის. ცოცხალი ტვირთი მიგვაქვს, როგორც საქონელი სასაქლოაზე, ეს, თქვე...
 კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შეჩერდა: კარებში ნაცრისფერთვალა ოფიცერი იდგა.

— შეგობარო კაპიტანო! — მან თავახიანი მოკრძალებით გადადგა ფეხი კარებში. — გაეციეთ განკარგულება ვაიღონ სატვირთოები. ახლავე მოიყვანენ ტუსალებს.

სატვირთოები ღია იყო, მაგრამ ტუსალები მხოლოდ შეუღამისას მოიყვანეს. როდესაც წაყვების საწოლებიდან სეტყვასაით უშენდა ტყვიამჭრევეები. წითლები ქალაქისკენ მოიწვედნენ. ოსმალების ოფიცრის კაზიმ-ბეის გადასვლამ დენიკინელების მხარეზე ქალაქი ვერ იხსნა. კაზიმ-ბეი, რომლის საშინელი სახელიც ქუხდა იმ დროს დაღესტანში, მუსავატისტების ბგენტი იყო. ის შეძრა წითლებთან, დაიმსახურა ნდობა, იბრძოდა მათთან ერთად და ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ გაეცა ისინი. კაზიმ-ბეის ღალატმა უფრო გააფთრა წითლები. შეტევაზე გადავიდნენ ყველა ფრონტზე და მათი მოწინავე რაზმები უკვე პეტროვსკთან იბრძოდნენ.

„ნიკოლაი“ წიოდა და ირხეოდა ნავსადგურთან შავი აბრდილივით. ნაბრძანები იყო სინათლები არ აენათოთ. ზღვა, ნავსადგური, ქალაქი, მთები — ქარისაგან გაყრუებულ ჩამობნელებულ უდაბნოდ გადაიქცა.

ტუსალები ჩუმად მოიყვანეს. გუშავი იდგა ხილზე და თვლიდა.

— ასი კაცია თითქმის, — უთხრა მან კაპიტანს, როდესაც უკანასკნელი ღონდი თოფის კონდახის კვრით ჩაეშვა სატვირთოში. სატვირთოდან სიცივე და დამავალი ხორცის სუნნი ამოდიოდა.

ღამით გავიდნენ. ჯარისკაცები ნაჯესთან მოგროვდნენ. გაჰყურებდნენ ნაპირს, სადაც სწორ-ხნირად ელავდა აფეთქებული

დენთის მკრთალი სინათლები. მათთან იდგა ოფიცერი-ციანტიც. მის თხელ თმას ქარი აფრიალებდა. გემის ქიმს დიდი სიძლიერით აწყვდებოდა კასპის ზღვაში.
 ტალოა.

გემის გასვლამდის ავიდა ზედ მოხუცი, ქალბატონი ვერეშემოკრევილი ოფიცერი. წვრილ ფეხებზე დახვეული ჰქონდა შავი აბრეშუმის ტოლოდები, თხელი თმა გადაყოფილი და გადაღვნილი ჰქონდა თავზე. მან მოითხოვა, რომ ჩამოეერთებინათ კაიუტაში. უბრძანა დაეძახათ კაპიტანი. წყნარად გაშალა მავიდაზე რუკა და დააღვა ზედ პატარა ხელები.

ქარისაგან გაწითლებული კაპიტანი შევიდა და კარებში გაჩერდა.

— მოდი თხლო! — ოფიცერმა ცივად გაუღიმა. ამ ღიმილმა შეაშინა კაპიტანი: საზოგადოდ, ასე ილიმებიან განწირული ხალხის წინ.

— გისმენთ! — კაპიტანი მივიდა რუკასთან. ოფიცერმა ამოიღო წითელი ფანქარი, აუჩქარებელივით გათალა, მოძებნა რუკაზე რაღაც და აღნიშნა იქ-ჯვარი. შემდეგ ვაელო სწორი ხაზი მთელ ზღვაზე — პეტროვსკიდან აღნიშნულ ადგილამდის.

— დაიკრეთ ეს მიმართულება, — უთხრა მან. კაპიტანმა დახედა რუკას.

— მიმართულება კარა-ბუგაზისკენ? — იკითხა შეშინებულმა.

— სწორედ ასე, მხოლოდ ასე. დაიკრეთ ოდნავ ჩრდილოეთისკენ. აი, ამ კუნძულისკენ. რა ჰქვია? მოითმინეთ, — ოფიცერმა დახედა რუკას, — ჰო, კუნძულ კარა-ადასკენ.

— არ შეიძლება, — ყრულ ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

— როგორ თუ არ შეიძლება?

— კუნძულთან არ არის ლუზიანი ვასაჩრებელი. ვარდა ამისა, ამ მიმართულებით ქარი პირდაპირ გემის ქიმს სცემს, და ჩვენ კი უტვირთოდ მივდივართ. ასეთი მიმართულება სახიფათოდ მიმაჩნია.

— მაგრამ ქარი ხომ თითქმის წყნარდება? — შემპარავი ხმით ჰკითხა ოფიცერმა.

— კარა-ბუგაზის მიდამოებში, საზოგადოდ, ზამთარში მოგზაურობა შეუძლებელია. იქ არ არის სინათლე, ბევრი რიფია. მე არ მაქვს უფლება ჩავაყენო სახიფათო მდგომარეობაში არც ხალხი და არც გემი. ზღვა იმ ადგილის უდაბურიია.

— ასეა? საუცხოვოა, — გამბით თქვა ოფიცერმა, — სწორედ უდაბური ზღვა გეჭირდება ჩვენ. ჰო, სწორედ! — წამოიძახა მკიანა ფალცეტით. — შესარულდებრძანება, წინააღმდეგ შეთხვევაში დედატუსალები და იმ ძალებთან ჩაგადებთ სატვირთოში. კომანდას შეატყობინეთ, რომ მივდივართ კრასნოვოდსკში. უსაქმოდ არავინ იმეტილოს პალუბაზე. ეს არის სულ გასწიო!

კაპიტანი ვამბოვიდა. შესაქის კაიუტაში შეამჩნია კარაული, რომელიც უყურებდა კობასს, ჩაღაცის ადარებდა ქალაღზე და უჩვენებდა მეზღაურს.

„მაზეში გავებით, ევლარ დავღწევთ თავის!“ — გაფიქრა კაპიტანმა, შევიდა თავის კაიუტაში, ამოიღო კასპის ზღვის ლოცია, იზოვა კუნძულ კარადას აღწერა და წაიკითხა.

ლოციაში იყო ნათქვამი, რომ ეს უღაბური და უწყლო კუნძული, რომელიც წარმოადგენს კლდის ჩაზნატებს, ძვეს ერთი მილის მანძიღზე ზღვის აღმოსავლეთ ნაპირისაგან, ბეკ-ტაშ კონცხის პირდაპირ, კარაბუგაზის უბის ჩრდილოეთით. კუნძული სავსეა გველებით. ნაგებიდან გადმოსასვლელი ადგილი მხოლოდ ერთია. მისავალი სახიფათოა ირფების გამო. ნაპირი ქვიანია, რომელიც ვერ ამგვრებს ლუზას. ლუზიანი გასაჩერებელი არ არის.

— გათავდა ყველაფერი! — კაპიტანმა გადაადგო ლოცია.

ზღვა ბობოქრობდა. საცოდავად მბეუტავი ანძის სინათლეები ანათებდენ მაღალ ბაკს, რომელიც აქეთ-იქით ირხვოდა. ზარი თავისთავოა ირფებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რხევა 40 გრადუსს აღწევდა. ნაცრისფერთვალა ოფიცერი შეშინებული დაწვა პირქვე და გული აგრიბ. იფურთხებოდა შავ წყალში, გმინავდა და იგინებოდა. ანგრის ღამე სტვენითა და გრილით მოქროდა აღმოსავლეთიდან, აუციღლებელი დაღუბვის წინამართლებდა.

სატერითოში ბნელოდა. წყალი ერთი ქიმიდან მეორეზე გადადიოდა. ტუსაღები ზოგი წამოწოლილიყო და ზოგი იჯდა სველ ფიცრებზე. ისინი აქეთ-იქეთ ეხეთქებოდენ კედლებს, ეკიდებოდენ დაიან-

გულ წიბოებს და დაბეჭდილი სახეებიდან მიხედსდიოდათ. ტაღდების სმაური აურუბდათ და გინავდენ ზღვის ავადმყოფობით საშინლოდ შეზღუდულნი. ცოტანი გრძნაბდენ, რომ გემი 40 გრადუსზე ირხვოდა და ყოველ წუთს შეეძლო დაწოლილიყო ქიზზე და ევლარ წამომდგარიყო, მაგრამ ყველა კარგად გრძნაბდა, რომ იქ, იმ უცნობ ხმეღოზე, სადაც ისინი მიყავდათ, ყველას სიკვდილი მოელოდა.

კარგად იცოდა ეს გეოლოგმა შაკიცმა, რომელიც შემთხვევით იყო მოხვედრილი ტუსაღებში. შაკი არ იყო ბოღშევიკი. ის ცდილობდა ვასკლას პეტროვსკიდან ასტრახანში. იგი ჯაშუშად ჩათვალეს და დააბატირეს. სამჯერ გაიყვანეს ღამე დასახერტად, მაგრამ არ დახვრიტეს. დამდამობით 50 ტუსალი გაყავდათ ქალაქგარეთ, იქ, სადაც ცხოვრობდენ ლეშისაგან დასუქებული ძაღლები.

სასიკვდილოდ გაყვანიღებს გაამწკრივებდენ და თვლიდენ. პირველად დახვრიტეს ყოველი მეთაე, იმ ღამეს შაკი მერვე აღმოჩნდა. მეორედ დახვრიტეს ყოველი მებუთე, შაკი მეოთხე აღმოჩნდა. მესამედ დახვრიტეს ყოველი მეოთხე, შაკის კი ბეღმა კვლავ გაუღიან: ის პირველი იყო. მაგრამ მესამე ღამის შემდეგ მთლად გაქალარავდა. ცოცხლად დარჩენიღებს დახვრეტითა გვაშები კირიან ორმოგებში ჩააყრევინეს. გვაშებს ფხვებით მოათრევდენ. მერე მთელი ღღე გვანათ, თითქმის ხეღები ძაღზე გასაპნული ჰქონდათ.

დახვრეტას ხეღმდმვენაღობდა ნაცრისფერთვალა ოვიცერი. ყოველი დახვრეტის წინ თვრებოდა, აღბათ, სიზხნევის მოსამატებლად. ტუსაღებს აგინებდა და „დამბალ ლეშებს“ უწოდებდა. დახვრეტის წინ გაამწკრივებდა და თვითთულ მთავანს რამდენიმეჯერ აცვლეინებდა ადგილს.

კონფორებისა და ამ ავადმყოფი და მთვარი თვღების გამომეტყველებიან ახალგაზრდათა ენახე ამას „ვენგერული კადრილი“ ერქვა.

შაკი პეტროვსკში მოხვდა ნახევარკუნძულ მანგიღშიკიდან: როდესაც ქვანაშირისა და ფოსფორის დათვღიერება დასრულდა კარატუს მთებში, კარაბუგაზისკენ უნდოდა ვასკლა, მაგრამ გამყოღმა კირკიზებმა გადაქრით უარი უთხრეს: შუა ზღვუღი იყო და გზაზე კარნ-იარაკის ქვიზიან ზეღაპირზე წყალი აღარ იზოვებოდა. იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო უღღუკის ვაკე გორაკით სიმაგრე აღექსანდროვსკში. აქ მან სამი თვე დაყო. მას მოეწონა ეს უსიცოცხლო ქალაქი, რომელიც არ იყო არავითარი ხელისუფლება. აქ დაწერა ექსპედიციის ანგარიში და საინტერესო შრომა მანგღმაკის, ამ გაღამზმარი ადგილის, წყლის მარაგის შესახებ.

კ. პაუსტოვსკი.
თარგმანი თ. ბ.





კარგად დამხვდა ჩვენი კოლა,
 ისევებდა ბალში მარტო.
 რომ შემხედა, გაეხარდა,
 გაეშალა შუბლი ფართო.
 ჩამომართვა მებრად ხელი,
 მაგრამნობინა მკლავის ძალა...
 რომ მეკითხა: „როგორ ცხოვრობ?“,
 არ მადროვა, არ მაძალა.
 აუჩვილდა რაღაც გული,
 მომეხვია, მკოცნა დიხანს,
 მერე ჩვენი მეგობრები
 თვითთულად გამომკითხა.
 ავად იყო ჩვენი კოლა,
 ელო რაღაც მკრთალი ფერი...
 რომ დავგზოვრდა, იმ ხანებში
 უღარდია კიდევ ბევრი.
 თქვა: „მორჩენას არ ველოდი,
 გული მქონდა ისე ცუდად,
 ხშირად ვწუხდი და გარშემო
 ყველაფერი თითქმის მძულდა.
 არ მეგონა, თუ გნახავდი.
 ახლა, ხედავ, არა მიშავს.
 რა ყოფილა ექიმობა,
 ქობულეთის ზღვა და ქვიშა!“
 კარგად არის ჩვენი ბიჭი,
 ძველებურად აღარ დარდობს,

შეუძლია რბენა, კითხვა,
 ბანაობა ზღვაში მარტო.
 იცის წესი, დადის სუფთად,
 აქვს სიფხიზლე იშვიათი.
 უყვარს დილით სეირნობა,
 სიმღერა და ზღვის შრიალი
 და ხანდახან მატარებლით
 ბათუმის და ჩაქვის ნახვა...
 რომ გაერთოს, მე მივკვები,
 ან მზრუნველი დედა ახლავს.
 ტკბილად მიდის ეს ზაფხული,
 გულის ახლო ნისლი არ ჩანს,
 მიხარია, გეფიცებით,
 რომ სიცოცხლე კოლას დარჩა.
 მიესწერ ბიჭებს... მიესწერ თუნდაც,
 რომ ეს კუთხე ძალას გვმატებს,
 რომ ვხარობთ და ხშირად ვალხენთ
 აქ ჩამოსულ ექსკურსანტებს.
 ლამაზია ზღვის გარემო,
 რიყის გასწვრივ ხეთა რიგი,
 ხეთა ჩრდილქვეშ მალახები,
 ბაასი და კარგი წიგნი
 და საღამო, როცა ტკბილად
 მემუსიკე თარზე უკრავს
 თავის განცდებს; ქვეყნის განცდებს
 ყვავილების ბუჩქის უკან.
 ტკბილად მიდის ეს ზაფხული,
 ფართოვდება თვალის სივრცე,
 დრო რომ მოვა, ზღვას დავტოვებთ
 და სიცოცხლეს სკოლას მივსცემთ.

გიორგი კაჭახიძე.

(ამხ. პოსტიშვის სიტყვა მოხავლის აღებისა და დაცვის შესახებ ხარკოვის ოლქის დამკრეფ პიონერთა შეკრებაზე)

ამხანაგებო! პარტიის საოლქო კომიტეტმა და საოლქო დიპარტლემენტმა კომიტეტმა დამავალა მოგესალმეთ მოსავლის აღებისა და დაცვის დამკრეფ პიონერებს.

16 წლის წინათ ქვეყანას მართავდნენ ფაბრიკანტები, ბანკირები, მემამულეები, კულაკები, მღვდლები და მათვე ეკუთვნოდათ ფაბრიკები, ბანკები, მიწა და მთელი სიმდიდრე.

სათავეში იჯდა მეფე მინისტრებით, მღვდლებით, გენერლებით, მუშები და გლეხები — ღარიბები და საშუალონი — ამ მუქთახორებისათვის მუშაობდნენ მთელი წლობით, მთელ სიცოცხლეში მიწურად მუშაობდნენ.

ასე მიდიოდა, ძვირფასო ბავშვებო, მუშებისა და მშრომელი მოსახლეობის სიცოცხლე. მრავალი წლების განმავლობაში ღარიბი და საშუალო გლეხობა ფიქრობდა, თუ როგორ განთავისუფლებულიყვნენ ამ მტანჯველებისაგან, მონური ცხოვრებიდან, როგორ მოეშორებიათ მეფისა და მდიდართა ხრკოვის ხელისუფლება მათი მინისტრებით, მემამულეებით, კულაკებით, ბანკირებით, ფაბრიკანტებით, მექარხნეებით, როგორ მიეღწიათ იქამდის, რომ ხელისუფლების სათავეში ის მღვდარიყო, ვინც მუშაობდა, რომ თვით მუშებსა და მშრომელ გლეხობას ემართათ ქვეყანა და მეურნეობა. და, აი, ლენინმა, უდიდესმა რევოლუციონერმა, მასწავლებელმა, მსოფლიოს მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ბელადმა, შექმნა ძღვევამოსილი კომუნისტური პარტია, გამოჰქდა მისგან შეუღრცელები ძალა, რომელსაც ებრძოდნენ და ებრძვიან კაპიტალისტები, ბანკირები, მემამულეები, კულაკები, მთელი მსოფლიოს მეფეები, რომ ვატყობან და გაანადგურონ ლენინის მიერ შექმნილი უძლიერესი ბოლშევიკური პარტია.

მაგრამ, როგორც ხედავთ, მუშებისა და მშრომელი გლეხობის მტრებს არაფერი გამოსდით და ყველფერში ისინი აღიზნოდნენ განადგურებულები, მუშებისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ოცნებას ლენინის პარტია ცოცხლ სინამდვილედ აქცევს. ფაბრიკები, ქარხნები, ბანკები და მიწა მუშებმა და ღარიბ-საშუალო გლეხობამ ლენინური პარტიისა და თვით ლენინისა და სტალინის მეთაურობით ჩამოართვა კაპიტალისტებს, ფაბრიკანტებს, მემამულეებს, ბანკირებსა და კულაკებს და თვითონ ჩაიბარა. მეფე თავისი მინისტრებით გაანადგურეს, და

აი, 16 წლის განმავლობაში მუშები და გლეხები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მართავდნენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, აშენებდნენ ახალ-ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, კოლქტიურ მეურნეობებს, შექმნეს ძვედამოსილი წითელი არმია, რომელიც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს იცავს მტრებისაგან და აშენებს სოციალიზმს.

უნდა იცოდეთ, ბავშვებო, რომ მეფის ჩამოგდება და ჩამორთმევა ფაბრიკანტებისაგან ფაბრიკებისა, მემამულეებისა და კულაკებისაგან მიწისა მეტად რთული და ძნელი საქმე იყო. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშები და ღარიბ-საშუალო გლეხობა იბრძოდნენ კაპიტალისტების, მემამულეებისა, მეფისა და მეფის მინისტრების წინააღმდეგ, და მრავალი საუკეთესო მოჯამბავირე და უღარიბესი გლეხი შეეწირა ამ საქმეს, სოფლის უღარაბესი მრავალი საუკეთესო ბოლშევიკი და ლენინელი დაიღუპა მეფის ციხეებსა და გადასახლებაში.

ეს მტანჯველები მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლთ ხოცავდნენ, ხუთავდნენ ბორკილებში და ცემით ისინი სიკვდილის პირამდის მიყვადათ. მუშათა და დღევანდელ კოლშეურენთა საქმისათვის ბრძოლაში ბორკილებზე, სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფრონტზე მეფის გენერლებთან, მემამულეებთან, მღვდლებთან, კულაკებთან, მეფის მინისტრებთან და მსოფლიო კაპიტალისტებთან შეტაკებებში მრავალი საუკეთესო მებრძოლი დაეცა. საბჭოთა მიწის ყოველ ადგილას თქვენ ნახათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის მიერ მისი მტრის, სოციალიზმის, კომუნისმის მტრის — ბურჟუაზიის — წინააღმდეგ გამართული ბრძოლის ყველს. ეს კვლები — მათა საფლავები და საფლავთა გორაკები — მოფენილია როგორც უკრაინის, ისე ცენტრალური რუსეთის გაშლილ მინდვრებზე. ისინი მოიპოვებდნენ თვით ყრუ ტაიგაში, ყინულიან შორეულ ტუნდრებში ათასობით განისვენებდნენ მუშებისა და ღარიბ და საშუალო გლეხობის გამარჯვებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლი საუკეთესო შეუღრცელები გმირები.

ამ საფლავებში თქვენ ნახათ არა მარტო მონღოლები, არა მარტო მოხუცი, არამედ თქვენი წლოვანების ბავშვებსაც. სისლიანი ბრძოლებით დაძაბულ ოქტობრის დღეებში, როდესაც მუშათა კლასი და ღარიბ-საშუალო გლეხობა იბრძოდა

ძალაუფლებისათვის, კოლმეურნობისათვის, მიწისათვის, ფაბრიკებისათვის, სოციალიზმისათვის, — მათ შორის იყენენ თქვენი ტოლი მებრძოლნიც.

მუშათა და უღარიბეს გლეხთა ბავშვებიც იყენენ მოწინავე დამკერდნი მაშინ, რომელნიც მამებთან ერთად თავს დებდნენ მუშათა საქმისათვის. დღეს თუ თქვენ ფხიზლად იცავთ თქვენს საკოლმეურნეო მიზნდებებს, აგროვებთ გაბნეულ თავთავეს თქვენსავე საკოლმეურნეო მიზნდებებზე და თქვენთან დახმარებლად მოდიან ქალაქის მუშათა ბავშვები, პიონერები, — წინათ ბავშვებს გენერალბებთან, მემამულეებთან, კულაკებთან, მეფისთან და მეფის მინისტრებთან თავგანწირულ ბრძოლაში მამებისათვის, დედებისათვის და უფროს ძმებისათვის მიქონდათ ტყვიები, საქმელი, წყალი და პარტიზანული და საშოქალაქო ომის პერიოდში ზვირაგედენ, თუ საიდან მოდის მტერი, რამდენია იგი და როგორაა შეიარაღებული. ბავშვები ამყარებდნენ სილღუმო კავშირს მუშურ-გლეხურ პარტიზანულ რაზმებს შორის, დაქონდათ წითელგვარდიელთა და მუშათა რაზმების მეთაურთა ფოსტა, ბრძანებები და განკარგულებები.

როგორც ხედავთ, მაშინაც მუშათა და გლეხთა ბავშვები უღრეს როლს თამაშობდნენ მუშათა კლასის ახალი ცხოვრებისათვის, საკოლმეურნეო საქმისათვის, ინდუსტრიულიზაციისათვის, საბჭუთა ხელისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ბრძოლა, ბავშვებო, კიდევ გრძელდება.

კულაკები წვავენ და იპარავენ კოლმეურნობის პურს, მავნებლები, ბურჟუაზიის აგენტები, ყოფილი მემამულეები და მათი აგენტები, ძვრებიან რა ფაბრიკა-ქარხნებში, ანადგურებენ დაზგებს და წამოავენ მუშათა საკვებს.

გარამ, აი, 16 წლის განმავლობაში მუშები და გლეხები ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასისა და ჩვენი ქვეყნის უსაყვარლესი ბელადისა და მასწავლებლის ან. სტალინის ხელმძღვანელობით, წარმატებებით აშენებენ თავის მუშურ-გლეხურ ახალ ცხოვრებას, აშენებენ სოციალიზმს, კოლმეურნეობებს, რომლებიც ყოველდღე და ყოველ საათს კიდევ უფრო მტკიცდებიან.

თქვენ უკვე იცით, რომ საუკეთესო მიწები, რომლებიც წინათ ეკუთვნოდათ მეფეს, მემამულეებს და კულაკებს, ახლა კოლმეურნეობებისა და საუკეთესო ფაბრიკა-ქარხნები კი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი.

ახლა აღარ ვეძვანან გენერლები, ბანკირები, მემამულეები და განადამები, რომლებაც ეკუთვნოდათ ჩვენს ქვეყანაში ძალა-უფლება, რომლებიც მართავდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, რომელიაღც ჰქონდათ თავისი სამფლობელოები და საბატონო მიწები. მუშურ-გლეხური ხელისუფლება კოლმეურნეობებს აძლევს მათ-

თვის აუცილებელ რთულ სასოფლო მანქანებს. შენდება მუშურ-გლეხური სახელმწიფოსათვის აუცილებელი ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რომ საბრძოლველად ავაშენოთ სოციალიზმი. მუშურ-გლეხური ხელისუფლება და კომინისტური პარტია კიდევ მეტსა და მეტს მანქანებს მისცემს კოლმეურნეობებს: ეს მანქანები კოლმეურნეობებს უადვილებენ შრომას, მიწის უკეთ ამუშავებენ, და მიწაც მეტს მოსავალს იძლევა. ექნება მეტი პური როგორც კოლმეურნეობებს, ისე შიველ სახელმწიფოს.

ფაბრიკა-ქარხნების მუშები კოლმეურნეობებს აძლევენ საჭირო რთულ მანქანებს, აშენებენ აეროპლანებს და გამანადგურებლებს, რომ მტრებისაგან დაიცვენ საბჭოების ქვეყანა.

საყვარელო ბავშვებო! ეს საუკეთესო ცხოვრება მთელი თავისი სიმშვენიერით, მთელი თავისი სიძლიერით ყველაზე უმაღლეს თქვენ მოგცნობათ, აი, რატომ უნდა ინსყავოთ უკეთ, რატომ უნდა გახდეთ კარგი ტრაქტორისტები, იცოდეთ მოტორები, მანქანები, ვახდეთ კარგი კომბაინერები, მოანგარიშებები, მექანიკოსები, ზინკლები, დურგლები, ინჟინრები, აგრონომები, ბეითლები და სხვა.

ასეთი შვეგებული კადრები სჭირდება ჩვენს გიგანტებს, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებს. თქვენ უნდა დაეუფლოთ მთელ ამ ცოდნას, რომ სოციალისტური შვეგებლობის საქმე კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით მიდიოდეს წინ.

ბავშვებო! თქვენ ხომ არ იცით, არ გამოგიცდიათ, თუ როგორ ფლობდნენ კაბიტალისტები ყველაფერს. თქვენ არ გიცხოვრიათ იმ დროს, როდესაც უღარიბეს გლეხებს არაფერი გააჩნდათ და შიმშილობდნენ.

შიმშილი ერეკებოდა მათ მიწიდან მემამულეებისაკენ, ფაბრიკანტისა, ქარხნის მფლობელისა და ბანკირებისაკენ, რომ მათთვის მიეყიდათ საკუთარი ძალღონე, ახლაც ხომ, გარდა საბჭოების ქვეყნისა, მთელი მსოფლიო საესგა ასეთი უღარიბესი და გაჭირვებული გლეხობით. თქვენ ხომ არ იცით, როგორ ერეკებოდნენ ფაბრიკებიდან მუშებს, რომელიც წლობით ვიდოდნენ უკმეგრად და მათი ოჯახები კი შიმშილობდნენ. თქვენ იცით მხოლოდ სეგრათო, საზოგადოებრივი სოციალისტური საკოლმეურნეო ცხოვრება, რომელიც მშრომელთ ეკუთვნის. აი რა არის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მნიშვნელოვანი და უტყუარი თავდები ლენინის, სტალინის, ბოლშევიკური პარტიისა და მუშათა და მშრომელ გლეხთა ძლიერებისათვის საქმის გამარჯვებისა.

ამ უდიდესი საქმისათვის ხარკოვის ოლქის, ჩრდილოეთ კავკასიის პიონერებო და ინგლისიდან ჩამოსული სტუმრებო, იყავით მზად! უსურვეთ ინგლისელ პიონერებს — შვილებს მუშებისა და მშრო-

მელი ვლენობისას, მიოდწითი ირისათვის, რასაც ჩვენ
ტყვეთან ერთად მივალწვიეთ.

გაუმარჯოს ლენინისა და სტალინის ბოლშევი-
კური პარტიის საქმეს!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებელთ, სახელმწი-

ფ და საკომუნისტო ქონების დამკვეთთ
სამუთა კვშირის დამკვეთდ პიონერებს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს კომკავშირელებსა
და პიონერებს!

გაუმარჯოს ს. კ. კ. (ბ)!



ბორჯომიდან გავიდა მატარებელი. ის აღმართზე
ფრინველივით მიცოცავდა. დიღია აღმართი, მაგრამ
ორთქლიმავალი მინც თავისუფლად მისრიალებს და
სიჩქარეს თანდათან უმატებს. მარჯვნივ და მარცხ-
ნივ ტუთი მოფენილი მთები ჩანს, რომელთა ფერ-
ღობები მწვანე ხეებითაა დაფარული. მატარებელი
ლენტივით ეხვევა ხან ერთსა და ხან მეორე მთას.

მდიდარია ბორჯომის ბუნება, მდიდარია და
მშვენიერი.

უწინ ამ მატარებლით მიდიოდენ მდიდრები თა-
ვიანთი ოჯახობით საავარაკოდ, მუშათა კლასის ზურგ-
ზე წანავლევჯი ნაოფლარის ამ მშვენიერი ბუნების
წილში მისართმევად, ახლა კი მატარებელი სავსეა
მუშა-მისამსახურეებით, რომელნიც მიდიან დასა-
სვენებელ სახლში, მიდიან საავარაკოდ.

ცემი გამოჩნდა.

აქ მოთავსებულია ამიერკავკასიის რკინისგზის ბა-
ნაკი-სანატორიუმი. ბანაკი მშვენიერ მთის კალთა-
ზეა და ხშირი ტუთითა გარშემორტყმული.

ბანაკად 150 ბავშვია. მათთან ერთად არიან
კოლხელმძღვანელები, ექიმები, ფიზკულტურელები,
კულტომომუშავენი და სხვა.

ბავშვების 80 პროცენტი რკინისგზის მუშათა
შვილებია, რომლებიც მოსულან ამიერკავკასიის სხვა-
დასხვა კუთხიდან. საბანაკოდ ჩამოსული ბავშვები
გამხდარი იყვნენ, სანატორიუმ კი მათ გაჯანსაღე-
ბას ემსახურება. ისინი ჩქარა გაჯანსაღდენ, მოლო-
ნიერდენ და გამხიარულდენ. წონაში თითომ 5-მ
კირანება მოიმატა.

კვება კარგი იყო. რკინისგზის გამგეობა არა-

ფერს ზოგავს ბავშვთა კვებისათვის, ღღეში ოთხჯერ
აქმევენ მათ.

აქ დიდ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურას
და სისტემატურად ატარებენ ვარჯიშობას, აწყობენ
ექსკურსიებს.

ექიმები კვალდაკვალ მისდევენ ბავშვა გაჯანსა-
ღების საკითხს, „მკვდარი საათით“ რაციონალურად
სარგებლობენ.



სანატორიული პირობები კარგი იყო. ბანაკი სუფთაა არა გარეგნულად, არამედ შიგნითაც. ოთახები სუფთაა, ქვეშაგები დიდი მზრუნველობითაა გასწორებული.

ბავშვები ხშირად ბანაობენ.

სასადილოც კარგადაა მოწყობილი, მაგრამ ამით არ თავდება ბანაკის მთელი სურათი. იქ სათანადო სიმაღლეზე დგას პედაგოგიური ხელმძღვანელობა. ამხ. ვარძიგულიანი დიდი მზრუნველობით ეკიდება ბავშვებს და მისი ხელმძღვანელობით ინტერნაციონალური აღზრდა კარგად მიმდინარეობს. ის ყველას

იცნობს, იცნობს აგრეთვე ასაკიანს, პატარა ბავშვებს. როდესაც ის ახალი ჩამოსული იყო, მუდამ ქურდამირში გაქცევაზე ოცნებობდა, შემდეგ კი ასაკიანი შეეჩვია ბანაკობას და კოლექტიური ცხოვრებას განსაკუთრებით საყურადღებოა აქ თვითმკვლელი წრეები, რომელთაც ამხ. ვაისერბანი ხელმძღვანელობს. კარგი იყო მათ მიერ ჩატარებული საღამოები.

ცემის ბანაკი ბავშვთა ჯანმრთელობის სამკურნალოა. ჯანსაღი აღზრდა უზრუნველყოფს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

კ. ნალბანდიანი.

გელან მახვანდასხვალი

ხმასაამურ საღამოებით უკან სდევდა ნახირს გელა, ხან კი დარდებს უჭარვებდა გვერდზე მყოფი მუტიკელი. იყო მწვანე მომიბინვე, და ნიავე ცელქად ქროდა. იქვე მჯდომი მოდილინე გელა ნახირს გასცქეროდა. ზოგჯერ წიგნებს კითხულობდა, რომ მოგესპო დარდი გულში, ზოგ ასოებს ვერც კი ცნობდა, იყო მუდამ სინანულში.

თუმცე პატარა იყო გელა, გაკვირება ნახა ბევრი, დაბრკოლება გადათელა, კოლექტივის გახდა წევრი. ახლა იგი ახკობრა, დამთავრა მან შვიდწლიანი, ტემპის გრილის გაყოლია, გმირია და შემოქმედი. წერილს გზავნის ვახუთებში, ზარმაცობას არ ეწყევა, წერს თამამად, კოლექტივში ნაკლი არის თუ მიღწევა.

შ. სამაღაშვილი.

აი რომელი საგაზეო წიგნი გავივიდა



კოვქის: „ერთადერთი კავკასიუმებს შორის“ და სხვა, დღეს კი მინდა ვილაპარაკო იმ წიგნზე, რომელიც ამ დღეებში გამოვა ბაზარზე. მისი ავტორია ცნობილი იუმორისტი მწერალი თავუნი (შალვა შარაშიძე), წიგნს კი ჰქვია: „ხორთუმი შაქვს, მაგრამ სპილი არა ვარ“.

უცნაური სათაურია! ვინც არ იცის, კიდევ ვისაქვს ხორთუმი, ვარდა სპილოსი, მისთვის მეტად საინტერესო იქნება ეს წიგნი.

პიონერმა და ჩვენმა მოზარდმა თაობამ თავიანთ ცოდნას რომ გადახედონ, დაინახავენ, რომ ბევრი საინტერესო საგანი არა აქვთ შესწავლილი, დიდი დაკვირვება და ცოდნა ესაჭიროებათ, რომ იცოდნენ რამდენი მწერია, რომელიც საშინელ სენს ავრცელებს, ძირს უთხრის ხალხის ჯანმრთელობას, ანაბეგრებს შრომის უნარს, აპარტახებს დოვლათსა და მფურნეობას.

ამავე დროს, ჩვენ არა გვაქვს ჩვენი პიონერებისათვის, საერთოდ კი მოწაფეებისათვის, ისეთი საბავშვო და საყმაწვილო წიგნი, რომლის მხნაარის იქნება მეცნიერული, ფორმა მხატვრული და კარგადაც იქნება დასურათებული.

ამ წელს ჩვენი საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორი ბევრ კარგ საბავშვო წიგნს ბეჭდავს. ალბათ, ყველამ უკვე წაიკითხა მარიჯანის: „ზურა ატმის ქალაქში“, ირ. აბაშიძის: „აი რა მოგითხროთ“, ჩუ-



ასეთ წიგნებს ჩვენი მოსარდი თაობა ყოველთვის ხალხით წიკითხავს, რადგან კოდნასაც შეიძენს და დიდ კმაყოფილებასაც იგრძნობს.

სწორედ ასეთია თავუნას წიგნი.

ის არის არა მარტო კარგი მხატვრული და სასაკლო წიგნი, არამედ მეცნიერულიც, ეს შემოწმებულია ტროპიკულ მწეულებათა ინსტიტუტში.

რაზეა აქ ლაპარაკი? მის დაწვრილებით შინა-არს მამინ გაიგებთ, როცა წიკითხავთ წიგნს მთლიანად, ახლა კი სულ მოკლე წარმოდგენას მოგცემთ ამ წიგნზე.

ამბავი ლექსად არის დაწვრილი და შედგება 32 კვერდისაგან. მთელი გვერდები სურათებითაა შემკული და ამ სურათებში ტექსტია გაბნეული.

გაგიკვირდებათ: წიგნი პაწია კოლოს ამბავს შეხება. აი ვისა ჰქონია ხორათუმი, სილიო კი არ არის!

სამაგელი, მანვე მწერია მაღარიის კოლო!

მის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო ეჭიმებმა, არამედ თვენც, ჩვენც და ყველამ, მით უმეტეს მას შემდეგ, როდესაც ამ წიგნს წაიკითხავთ, სიდიდანც თეთონ კოლოსაგან ვაიგებთ, რამდენ ზარალს აძლევს ჩვენს ქვეყანას.

მაშ ასე, დაიხსომეთ, რომ კოლო თავის თავ-კადისავალს გულახდით ლამობს ბავშვებს და მოითხოვს ვანსჯას.

როგორც სურათიდან ჩანს, კოლო სამსჯავრო სკამზე ზის, აცვია შავი ფრაკი, ხელში ძველებური ქული უჭირავს, დგას სასამართლოს წინაშე და უამბობს თავის ამბავს.

ჩვენ ვიგებთ, რომ ის კვერცხიდან ჩნდება, წელნელა იზრდება, ვაუქმადარი მკამელია, ბევრი უამით გასივდება, რამდენჯერმე იცვლის კანს და ბოლოს, როგორც თეთონ ამბობს:

„ვეტბოლის ბორას

მთორახი რომ მიამათ,

იმას ვგავდი

ერთი ნახვით მე, აღმათ“.

მას ისევ შია. მართალია, თავი დიდი ვაუხდა, მაგრამ პირი კი სულ აღარ აღმოაჩნდა.

კოლოს უბედურება ამით არ გათავებულა. ეს გასიებული თავი ვაუსკდება, იგრძნობს ფრთებს და უკვარს:

„ნეტა ვინ ვარ,

ვიქნებოდე, ნეტავი,

ან ბულბული,

ან შერცხალი მინცა,

სხვა ჩიტად კი

აღარ მინდა მე თავი“.

მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ პაერში ფრენს, ჩიტი კი არ არის. და ბოლოს იგრძნობს, რომ არც სპილოა, არც სხვა ფრინველი, არამედ პატარა კოლო, რომელიც სასტიკად იკბინება, არ რცხვენია და იკვების: „მშრომელთ სისხლს ვსწოვ, ბურთუა კი არა ვარ“.

როდესაც თავის სიტყვას დაასრულებს, დამსწრე ბავშვებს მიმართავს: ველი თქვენს განჩინებასო.

პიონერები მოითხოვენ კამათს, დამცველების, ბრალდებულების სიტყვას და სამსჯავროს განჩინების ვაგრძელებას. მეორე წიგნიდან უნდა ვაიგეთ, ასეთ მავნებელ მტერს როგორ უნდა ვებრძოლოთ.

მგონია, უკეთესი იქნება თქვენც წაიკითხოთ გულდასმით, ამის შემდეგ უფრო მოეკრიბებით ასეთ სამაგელ მწერს. კარგს იზამთ, თუ თქვენს აზრს აცნობებთ თურხილ „პიონერის“ რედაქციას: თქვეთვის სასარგებლო და ამავე დროს საკითხავად სინტერესოა თუ არა ასეთი ხასიათის სამაგეშო წიგნები.

ანლანი.

განჯანის სიბღარბ

ჩვენი ქარხნის ურყევე კედლებს ატკობს ჩემი მძლავრი გრავირება, პირველობის მოპოვებამ მომიმატა ხმა და ბრწყინება.

დღეს ჩემს ძალას ვააოკეცებ,

არ ილექა კუნთში ღონე,

მე რკინა ვარ, მკვერი რკინა

და რკინის მყავს მებატრონე...

თუ ჩვენცა ვვაქვს გრძნობა, გული, ზოგს უკვირს და ზოგს არ სჯერა, ზოგნი გვთვლიან ჩვენ მყვირალად და არ მოსწონთ ჩვენი მღერა...

მაგრამ რა ვქნათ, ასეთი ვვაქვს

ანდაგობა, რიგი, წესი...

ჩვენ ვმღერით და სხვა მუსიკა, თქვით, სად არის უკეთესი?

თქვენ, ძვირფასო, ნუ, ნუ გიკვირთ,

თუ ვმღერით ოფლს ჩქარ ვაქანებით.

შრომის მარშით, გვემის ძლივით

ვმღერით, ვმღერით მანქანებში...

მაშ ხმაური, ტემპით წინსვლა,

მაშ სიწრაფე ელვის ბორბალს...

ვაშა, ვაშა ქვეყნის ფუძეს,

მუშის დაზვას, გლეხის ხორბალს!

გიორგი ძიგავშილი,

მე-14 პოლიტექნიკური

10-წლედის მოწ.



60

ამხანაგო გიორგი!

შენი ლექსი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას მოსწონებდა და დაბეჭდვადის მეგობრულად ზოგიერთი შესწორებისათვის.

აზრად მომივიდა ამ ლექსის შესახებ შენთვის პატარა წერილი მომეწერა. ამ წერილს რომ სათაური სკირდებოდეს, მე მას დავარქვედი: „რძალო შენ-გეუბნები, მულო, შენ გესმოდა“.

ლექსი „მანქანის მიმღერ“ ქარხნის თემაზე დაგიწერია. მე არაერთხელ შემხვედრია ჩვენს რედაქციაში ამავე თემაზე დაწერილი ლექსები, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობ ავტორებს ეკუთვნის. ისინი ხშირად ასოთამწყობის დაზგამდის ვერ აღწევენ და იქვე სარედაქციო კალათების სიგანძურს აესებენ.

აღშფოთებული ავტორიც მინახავს რედაქციაში, რომელიც ამის გამო გულისწყრომის გამოთქვამდა. რედაქტორის დინჯი დარიგების მას არა ესმოდა რა, ქრადანაეც ღრმად იყო დარწმუნებული თავისი ლექსის სრულ ვარჯისიანობაში. „აი, შეადარეთ ჩემი ლექსი ამ ლექსებს“ — და იგი უჩვენებდა ჩვენი რომელიც ძველი პროლეტარული მწერლის აღრიდელ ლექსთა კრებულს. ჩვენი ახალი ავტორის ლექსი შედარებულ ლექსებს იქნება მართლაც არაფრით არ ჩამორჩება და, შეიძლება, რამდენიმედ სჯობია კიდევ, მაგრამ ჩვენი რედაქციები ასე უკვე აღარ სჯიან საქმეს.

ალბათ, შენ კარგად მოგეხსენება, ამხანაგო გიორგი, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ სკოლაში სწავლისთვის. ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი პარტია და ხელისუფლება თავისების საკითხს ჩვენი მშენებლობის ყველა ფრონტზე: მოსავლის აღების საქმეში, მანქანების დამზადებისა და შეკეთების საქმეში და სხვა. ყველა ფრონტზე გაისმის ხმა: „თვისება,თვისება,თვისება“. ეს მოთხოვნა მწერლობის წინაშეც ისმება და, წარმოიდგინე, ძალიან მწვავედაც.

ამიტომ არის, რომ ახალ ავტორს, რომელსაც ერთხელ ხელში თავისი ლექსი უჭირავს და მეორეში შედარებისათვის ჩვენი ძველი პროლეტარული მწერლის აღრიდელი ლექსების სუსტი კრებული, რედაქტორი არ უჩერებს და ეუბნება: „მოუხედავად იმისა, რომ თქვენი ლექსი არ ჩამოუარდება ამ დაბეჭდილ ლექსებს, შეიძლება რამდენიმედ სჯობს კიდევ, — მაინც არ დაბეჭდება იგი. დაბეჭდავთ მაშინ, როცა თქვენს ლექსთან შესადარებლად მოიტანთ არა ამ წიგნს, არამედ კარგ პროლეტარულ პოეტურ ნაწარმოებს. უსწორდით არა ცუდებს, არამედ კარგებს“.

მე ამგვარ შემთხვევაში რედაქტორისათვის დამიკერია მხარი და იქნება რომელიმე ავტორის ჩემი

სამღურავიც დავიმსახურე, მაგრამ საქმეში რამდენიმე მაშინ! აი სწორედ ამთვისებად გაანდენა რამდენიმედ ახალი, დაწყები მწერლის მუშაობის საქმე, მაგრამ ამან გულისგატება და უძიმედობა კი არ უნდა გამოიწვიოს მასში.

ჩემი აზრით, ახალგაზრდა დაწყები მწერალი იმგვარი ლექსებით ვერ გამოვა პრესის ფურცლებზე, როგორითაც პირველად ბევრი ჩვენგანი და თუ გნებავთ თვითონ მეც გამოვედი. მაშინ ეს შესაძლებელი იყო და საქორაც, მაგრამ დღეს, თვისების ჰეგემონიის პირობებში, ასე აღარ შეიძლება; ესეც რომ არ იყოს, ჩვენი პოეზია დიდი ნაბიჯებით წავიდა მას შემდეგ წინ და ახლადვაიმოვლმა პოეტმა იგი უკან კი არ უნდა დააბრუნოს, არამედ წინ წასწიოს თავისი ახალი, ორიგინალური ხმით.

ამიტომ ახლადდაწყებმა ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს „ქერქვეშ“ თავის თავზე, ისე, როგორც ჩვენ ყველანი ვმუშაობთ და მომავალში ვიმუშავებთ.

იმას გეუბნებოდი: იმ თემაზე, რაზეც შენი ლექსია დაწერილი, ბევრი ლექსი მინახავს ახალგაზრდა ავტორისა, მაგრამ შენი ლექსი მათ შორის, გამოანკლისივით, რედაქციას მოსწონებდა, და მოსწონებია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უბრალოდ და სადადა დაწერილი. არ არის ის მყვირალა სტრიქონები, ის „გზავანები“ და „ურავანები“, რაიც ბევრს აუცილებელი ჰგონია მანქანებზე ლექსის დაწერის დროს, შენს ლექსში მანქანის შინაგანი სითბო უფროა მოცემული, რადგანაც მოქმედია ის შენს ლექსში, განპიროვნებული იყო:

„თუ ჩვენცა გვაქვს გრძობა, გული, ზოგს უკვირს და ზოგს არ სჯერა“.

ვინმე ამ შეიძლება ანიმიზმის ელემენტები ნახოს, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ პოეტური მეტაფორაა. ასევე ლამაზადა გადმოცემული მანქანის მიერ თავის მართლებაც:

— „მაგრამ რა ვქნათ, ასეთი გვაქვს ანაგობა, რიგი, წესი...“

ჩვენ ვმღერით, და სხვა მუსიკა, თქვით, სად არის უკეთესი?!”

საერთოდ, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება სადად და უბრალოდ დაეწერათ ლექსი: სადად დაწერილი ლექსში აზრიც ნათელია.

მე ვისურვებდი შემდეგში შენი ლექსი მენახა დაწერილი ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების რომელიმე მომენტის შესახებ, რადაც შენ უფრო ახლოს უნდა იცნობდე, თემის ახლოს და კარგად ცოდნა კი საწინდარია ნაწარმოების გამარჯვებისა.



ზესტაფონის ბ. კ. ო. რაიონურ მოსავლის აღება-განაწილების საკითხი დაამუშავა ნ აგვისტოს და დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი. აღნიშნული საკითხი დამუშავდა აგრეთვე პ/რაზმებში. რაზმებს მიეცათ გარკვეული ღირებულებები მოსავლის უდანაკისოდ აღების, კლასობრივი მტრების გამოძღვლების და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა პირველ რიგში შესრულების შესახებ.

პიონერთა რაზმებთან შექმნილ იქნა ახალი ჯგუფები „მსუბუქი კავალერიისა“ სოფელ სანაოში, შრომაში, წევრები და სხვა. ისინი ენერგიულ დახმარებას უწევენ სატრაქტორო სადგურებსა და კომპაგნიის საფუშაგოებს.

რაზმებს მიღებული აქვთ ღონისძიებები მოსავლის აღებისა და დაცვის შესახებ. სოფელ დილიკაურის პიონერთა რაზმებმა ჩატარეს აღრიცხვა მოსავლის აღებისათვის საჭირო ნამგლების, ურემების, ნაღობების, კალათებისა და საწნახლების. ზესტაფონის რაიონის მთელ რიგ კედლის ვაზე-თებში მოთავსებულია პიონერთა წერილები მოსავლის აღებაზე და „მ. კ.“ მასალები. ქობ-სამკითხველოებთან შექმნილია გაფეთის ხმამაღლა მკითხველი პიონერკულტურბოვადა

პიონერის სიტყვა



ჩვენ ვზუბობდით, არ ვშრომობდით, ხან ტრამაის ვახტებოდით, სულ ვცდებოდით გაკვეთილებს, სასწავლებელს ვაკლდებოდით.

დავიდოდით ქუჩა-ქუჩა,
ხეტიალით ვიღლებოდით,
ძირს გადაყრილი თუთუნს ვწველით,
მწარე შხაპით ვითვრებოდით.
მაგრამ ერთ დღეს ჩვენ სკოლაში
დააარსეს კოლექტივი,
დიდ ეზოში გაიშალა
მოწაფეთა გრძელი მწკრივი.
ხელმძღვანელის დარიგებით
სიხალისე გვემატება.
რა კარგია ნაამბობის
შეთვისება, ყურის გდება!
ხან ვიცინით, ხანაც ვზუბობდით,
ხან ვკითხულობდით ლამაზ ლექსებს
და ვითვისებდით ახალ ჩვევებს,
უკეთესზე უკეთესებს!
ყველაფერი რიგზე არის,
არ ვიფიქრებთ მტკიცე წესებს
და დავიცავთ ჩვენ ერთგულად
მუშა ხალხის ინტერესებს.
მეგობრებო, აქეთ, ჩვენკენ,
ვისაც გიყვართ ძმური შრომა,
კოლექტივში ჩაეწერეთ,
რას მოგიტანთ სახლში ჯდომა!

ბ. გოცირიძე

პიონერები იცავენ მოსავალს



ლაგოდების პიონერთა რაიბიურომ დროულად დააშუშა მოსავლის აღების საქმეში პიონერთა მონაწილეობის საკითხი. ამის შემდეგ აქტიური აზნა-გები მიზაგრებულ იქნენ პიონერთა რაზმებზე აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად. ცალკე კოლმეურნეობებისათვის დახმარების ვასაწევად შეიქმნა ბრიგადები. სოფ. შვიდლობაში პიონერები პურის მკის პე-

ბელი კოლმეურნეობის დასახმარებლად, მაშინ წლის პიონერმა შ. ფიჩაძემ თავისი ბრიგადელი ვილი განაცხადა შეერთებოდა კოლმეურნეობის დასახმარებლად მიმავალ ბრიგადებს და მეზოველ კოლმეურნეობას დაეხმარა.

ლაგოდების ბ. კ. ო. რაიბიურომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხაჯ. ა. ლ. კ. კ. ცეკას



რიოდში სისტემატიურად გადიოდენ მინდვრად დაწაკარების შესაგროვებლად, ასე იქცეოდენ ყარსუბნისა და სხვა სოფლების პიონერებიც.

პიონერებმა კოლმეურნეობას პურის თავთავების აკრეფით 50 /ფუთი ხორბალი შეჰპატეს.

როცა ს. გელათის კოლექტივი მიდიოდა მეზო-

მდინის ამხ. კოსარგვის მომართვას, რომ პიონერებში გამოიყონ მეთვალყურეებად მოსავლის დაცვის საქმეში. პიონერები უკვე გამოყოფილი არიან და მიღებულია ყოველგვარი ზომა კოლმეურნეობაში მავნებლობისა და მტაცებლობის გამოსამეღიდებლად.

ვ. ს.



საჩუქრად მიმართა: ა. გველუხიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი), ა. ჭანკიევი, ლავრ. ჭიჭინაძე (პ/მ. მდიანი), შ. თაბუკაშვილი, შ. ხიზარულიძე, ზორის ჩხეიძე და შ. თომაძე.

02-1110133

3500
18.503

